ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

jhif,fsb7 !@ vfhnb7 @)!@ 160 (5750) afcb5 #) stshb

12 მარტიდან
3ფ[ფქბ სფჯ,ფ4+
,ბჯქჯუბფ
* ქფჰბ




# რა გაფრთხილება მისცა ახალაიას უწყებას აშშ-ის თავდაცვის უწყების ჩინოსანმა

ამერიკამ ქართულ ჯარს ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემაში მონაწილეობა მოსთხოვა



გვ.3

## მამუკა არეშიძე: ხელისუფლების წარმომადგენლები ივანიშვილს შემთხვევით არ შეხვედრიან“

რა ჩაიფიქრა სააკაშვილმა რუსეთთან დაკავშირებით



გვ.2

## რაულ ხაჯიმბა დეპუტატი გახდა



გვ.5

## ირაკლი ბათიაშვილი: მიუხედავად წყენისა, ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის შესაძლებლობას არ გამოვრიცხავთ“



გვ.2

## სოსო ცინცაძე ჩიკაგოს სამიტისგან კარგ ამბებს ელის



გვ.7



## რა ვერ გაიყვეს ქართველებმა და აფხაზებმა

გვ.6

## ჰიპოკრატე მაედა: მინდა, ვეფხისტყაოსანი“ იაპონურად ვთარგმნო“



გვ.5



## პუტინს არ უნდა, რომ რუსეთის დაშლა მის სახელს დაუკავშირდეს

გვ.6

გვ.4

## გუგული მაღრაძე: მე პროდასავლური ძალა ვარ“



3ფ[ფქბ სფჯ,ფ4+
გფუფჯუბჯ
* ქფჰბ
&3ფჰნბლფყ




ISSN 1987-9385

4 ილია II: ყოველი თქვენგანი იყოს მატარებელი უფლის ნათლისა!“

2 საქართველოს საზღვართან 4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

4 ქართულ ოცნებას“ სახალხო კრებისთვის“ შეხვედრის სრული ჩანაწერი კვლავ არ გადაუცია

10 ამერიკელმა სამხედრომ მშვიდობიან ავღანელებს ცეცხლი გაუხსნა

# მამუკა არეშიძე: ხელისუფლების წარმომადგენლები ივანოვს შემთხვევით არ შეხვედრიან“

## რა ჩაიფიქრა სააკაშვილმა რუსეთთან დაკავშირებით

ქეთი ხომერიკი

**როგორ აფასებს რუსეთში ჩატარებულ არჩევნებს, რა შეიცვლება რუსეთ–საქართველოს ურთიერთობებში პუტინის პრეზიდენტად დაბრუნების შემდეგ და რა კულუარული მოლაპარაკება არსებობს თბილისსა და მოსკოვს შორის? „ახალ თაობას“ ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ესაუბრა.**



**მამუკა არეშიძე:**

– მართალია, არჩევნები რუსეთში ჩატარდა გაყალბებით, იყო კარუსელები და სხვა უამრავი დარღვევა, მაგრამ პუტინს რუსეთის პერიფერიის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაუჭირა მხარი, განსაკუთრებით – დაბა-სოფლებში. მასობრივი გაყალბება კი განსაკუთრებით დიდ ქალაქებში იყო. დანარჩენ შემთხვევებში, სად როგორ, გააჩნია. აქცენტი ყოველთვის კეთდება დიდ ქალაქებზე და დიდ ქალაქებში მოგებაზე. ამიტომ სოფლებისა და დაბების მოსახლეობა ყოველთვის მიტოვებულია ღვთის ანაბარა და იქ მცხოვრებლები არჩევანს აკეთებენ ტელევიზორების მიხედვით. ტელესივრცე კი, მოგეხსენებათ, დაპყრობილი აქვთ პროკრემლისტურ ძალებს. აქედან გამომდინარე, შესაბამისად კეთდება არჩევანიც.

***– და რუსული პოზიციის მიერ დაგეგმილი საპროტესტო აქციები, ალბათ, არც არაფერს შეცვლის?***

– რაც შეეხება საპროტესტო განწყობას, ამასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ძირითადი საპროტესტო ტალღა აგორებულია მოსკოვსა და სანკ-პეტერბურგში. რასაკვირველია, ზოგიერთი სხვა მსხვილი ქალაქიც მონაწილეობს, მაგალითად, ეკატერინბურგი, მაგრამ სულ 3 ათასი მომიტინგე იყო. აქედან გამომდინარე, ის საპროტესტო ტალღა, რომელიც არსებობს, ამ ქალაქებში სიტუაციას ვერ შეცვლის. თუმცა, არის სხვა მომენტიც, თუ შორეული პერსპექტივის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ანუ უახლოესი 2 წლის განმავლობაში, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, გავითვალისწინებთ იმ კორუფციულ ფონს, რომელიც რუსეთში არსებობს, არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციის სერიოზული მუშაობის შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ ფსევდოოპოზიციისა და საზოგადოების ცნობიერებაში მოხდა ფსევდოოპოზიციისა და რეალური ოპოზიციის გამიჯვნა და ოპოზიციამ შეძლო კონსოლიდაცია (მე ვლაპარაკობ სერიოზულ ოპოზიციაზე და არა ფსევდოზე) და თუ მოხდა საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა (რისი ტენდენციაც უკვე შეინიშნება), აი, ამ შემთხვევაში შეიძლება ველოდოთ საკმაოდ მძიმე შედეგებს, თუნდაც 2 წლის შემდეგ. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი ანალიტიკოსი ვარაუდობს, პუტინი ვერ შეძლებს პრეზიდენტობის მესამე ვადის ბოლომდე შენარჩუნებასო.

***– თუმცა, მოლოდინები არ გამართლდა და ,,არაბული გაზაფხული“ მოსკოვში არ დადგა.***

– ჯერჯერობით არა, ამას არც ვვარაუდობდი. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს ყველაფერი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პუტინმა თავისი მმართველობის სტილი არ შეცვალა და, თუ შეცვალა, მაშინ, რასაკვირველია, პროგნოზირება რთულია.

***– და რა შეიძლება შეიცვალოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ამ არჩევნების შემდეგ, რას უნდა ველოდეთ?***

– მდგომარეობის შეცვლას დადებითისკენ, ბუნებრივია, არ ველოდები. მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა რამდენიმე ყურადსაღები განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ქართველ ხალხთან უნდა შედგეს საუბარი და საქართველოსა და რუსეთს შორის არ არსებობს თემები, რომლებზეც მოლაპარაკება არ შეიძლება და სხვა ამდაგვარი, ეს სიტუაციას ვერ შეცვლის, იმიტომ რომ აქ არის ორ ლიდერს შორის პიროვნული შეუთანხმებლობა. მართალია, ამის გადალახვის პრაქტიკა მსოფლიო ისტორიაში არსებობს, სტალინისა და ჩერჩილის ურთიერთობა გავიხსენოთ, მაგრამ ეს ის ვითარება არ არის, როდესაც ემუქრება ქვეყანას, ვთქვათ, გარეშე საფრთხე, იმ დონის, როდესაც გუშინდელი მტრები ერთმანეთს ელაპარაკებიან დღეს. ამიტომ, მე არ ვვარაუდობ, რომ მოხდება პუტინსა და სააკაშვილს შორის საერთო ენის გამონახვა, მით უმეტეს, რომ ოკუპაციის პირობებში ძალიან რთულია ამ საერთო ენის გამონახვა, თუმცა, აუცილებელია. ვიმეორებ, მე ამ ორ პიროვნებას შორის საერთო ენის გამონახვის პერსპექტივებს ვერ ვხედავ.

***– ქართულმა მხარემ სავიზო რეჟიმი უკვე გააუქმა, თითქოს რუსულმა მხარემაც გამოთქვა მზადყოფნა, მაგრამ... როგორ აფასებთ პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას?***

– ეს გათვლილია შემდეგ ფაქტორებზე, პირველი – ეს არის, რა თქმა უნდა, საგარეო მოხმარებისთვის გაკეთებული განცხადებები ორივე მხარისგან. დასავლეთმა ჩვენს ხელმძღვანელობას არაერთხელ ურჩია რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. ასე რომ, საგარეო მოხმარებისთვის არის ეს ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადადგმული. რუსეთის ხელისუფლებაც დაახლოებით ასევე იქცევა, ცდილობს, ჯერ ერთი საპასუხო სვლა გააკეთოს და იყოს დემოკრატიული დასავლეთის თვალში. მეორე – აქ არის, რასაკვირველია, შიდა მოხმარების ფაქტორიც. როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც არის მოსახლეობის ნაწილი, რომლისთვისაც ეს საინტერესო და მისასალმებელი თემაა. აი, საქართველოში, მაგალითად, შემიძლია გითხრათ, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოლოდინით შეხვდნენ სააკაშვილის ამ განცხადებას, მოლოდინით იმისა, რომ რუსეთიც ანალოგიურ ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ სხვა რამესთან გვქონდეს საქმე.

***– რასთან?***

– საქართველოს ხელისუფლებამ იმდენი ისეთი ტიპის ნაბიჯები გადადგა, რომელიც მოულოდნელი აღმოჩნდა ქართველი საზოგადოებისთვის. ამდენად, ჩვენ გაგვიჩინა იმის საფუძველი, რომ ეჭვი შევიტანოთ ამა თუ იმ ნაბიჯის გულწრფელობაში და სულ ვფიქრობთ, რამე ხომ არ არის ამის უკან. აი, ესეც ის შემთხვევაა. მე არ გამოვრიცხავ, რომ არის ოფიციალური თბილისისა და მოსკოვის დაახლოების მცდელობები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობს საქართველოს ხელისუფლება, მაგრამ ცდილობს, შენიღბოს ეს, ასე ვთქვათ, სხვა ფორმით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაც ასე ფიქრისკენ მიბიძგებს, იმიტომ რომ ამ განცხადებაში, სხვა ასეთი ტიპის განცხადებებისგან განსხვავებით, არ არის ნახსენები არც ერთხელ, ვთქვათ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომელსაც ხშირად ახსენებს ხოლმე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ არის კულუარული მოლაპარაკების რაღაც ფორმატი თბილისსა და მოსკოვს შორის, რომელიც შესაძლებელია იყოს ხვალინდელი პოზიციების დაახლოების საწინდარი. რასაკვირველია, ჩემთვის პირადად მნიშვნელოვანია ის, რომ მოლაპარაკებები შეიძლება დაიწყოს თბილისსა და მოსკოვს შორის და მივესალმები ამ მოლაპარაკებებს, მაგრამ ჩემთვის მთავარია, რა საგანზე იქნება მოლაპარაკება, რაზე ილაპარაკებენ.

***– მიუნხენში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების ივანოვთან შეხვედრაც ამას უკავშირდება?***

– დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მე თვითონაც არაერთხელ მქონდა პრაქტიკაში საერთაშორისო სიმპოზიუმების დროს თუ კონფერენციებზე შეხვედრა ასეთი ტიპის ადამიანებთან, ვინც გუშინ, ვთქვათ, ხელისუფლებაში იყო, იგივე რუსეთის, მაგრამ დღეს, ერთი შეხედვით, არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ივანოვი ის შემთხვევა არ არის. ივანოვი დღემდე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნომენკლატურაა, ის არის სრულუფლებიანი დესპანი თავისი წოდებით და, აქედან გამომდინარე, ეს ადამიანი განსაკუთრებული ინფორმაციისა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მატარებელია. როცა მას ხვდები და განსაკუთრებით – საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, რომელიც, რთული წარმოსადგენია, საერთაშორისო სიმპოზიუმზე რა სტატუსით მოხვდა, თუ არა, როგორც პოლიტიკოსი, აქედან გამომდინარე, ეს მიბიძგებს ვიფიქრო, რომ ეს შეფუთული იყო საერთაშორისო სიმპოზიუმის ფორმით, სინამდვილეში კი ეს იყო ერთგვარი ზონდაჟისა და შეხვედრის ფორმატი.

***– რაზე შეიძლება მიდიოდეს მოლაპარაკება, რაზე შეთანხმდებოდნენ? მოკლედ, სააკაშვილი პუტინთან მისასვლელ გზებს ეძებს?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. ის, რომ სააკაშვილი ეძებს გზებს, ჩემთვის ნორმალურია, მაგრამ, რა რაში იცვლება და რაზეა მოლაპარაკება, ეს არის ჩემთვის საინტერესო და მთავარი.

***– მართალია, ამბობენ, სააკაშვილი აშშ-ის პროექტიაო, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ხომ არ აჩენს ეჭვს იმისა, რომ სააკაშვილი არა აშშ-ის, არამედ რუსეთის პროექტია?***

– ყველაფერი შესაძლებელია, მე არ მაქვს ამის დამამტკიცებელი საბუთი, თუმცა, ეს საუბრები ხშირად ყოფილა და მეც მსმენია ამის თაობაზე. შემიძლია, მხოლოდ ერთი რამ დაგიდასტუროთ – მოსკოვისთვის ბევრად უფრო კომფორტულია დღევანდელი რეჟიმის არსებობა, ვიდრე სხვა რეჟიმისა, რადგან დღევანდელი რეჟიმის პირობებში მოსკოვი ყოველთვის აპელირებს იმაზე, რომ ის არ დაელაპარაკება ამ რეჟიმს, რადგან ეს არის აგრესორი და თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს. თუმცა, ვინ იყო სინამდვილეში აგრესორი, ჩემთვის ძალიან კარგად ცნობილია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოების თვალში ამით იმართლებს მოსკოვი თავს.

***– მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კრემლი სააკაშვილს ხელისუფლების შენარჩუნებაში დაეხმარება?***

– მე არ გამოვრიცხავ, სააკაშვილის ხელისუფლებასთან მან დიალოგი გამართოს, მაგრამ თვითონ სააკაშვილთან – არა. სააკაშვილისა და პუტინის დიალოგის გამართვა ჩემთვის ძალიან რთული წარმოსადგენია, იმიტომ რომ დიდ პოლიტიკაში, ხშირ შემთხვევაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირად ურთიერთობებს და მათი პირადი ურთიერთობები კი, რბილად რომ ვთქვათ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

# ირაკლი ბათიაშვილი: მიუხედავად წყენისა, ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის შესაძლებლობას არ გამოვრიცხავთ“



ირაკლი ბათიაშვილი

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმ წყენისა, რაც ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებულმა ვიდეომ გამოიწვია, „სახალხო კრება“ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, კოალიცია „ქართულ ოცნებიასთან“ თანამშრომლობას არ გამორიცხავს.

„საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკური ურთიერთობების არანაირ წესებში და ჩარჩოებში არ ჯდება, როცა ოპოზიციის ერთი ლიდერი საკითხს სვამს იმის თაობაზე, რომ მეორე ლიდერი პოლიტიკიდან უნდა წავიდეს ან გვერდზე გაიწიოს. ეს კარგს არაფერს მოუტანს იმ პროცესს, რასაც არსებული ავტორიტარული რეჟიმის დემონტაჟი ჰქვია“ – განაცხადა ბათიაშვილმა „ნიუსპრესთან“ საუბრისას.

მისივე თქმით, მიუხედავად წყენისა და განცვიფრებისა, კრება ყოველივე ამაზე მაღლა დადგება.

„სახალხო კრება“ ყოველთვის საქმის და საერთო ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს. აქედან გამომდინარე, ჩვენი პოზიცია იგივე რჩება – საჭიროა ყველა ძალის კონსოლიდაცია, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის ყველასთან, ვისაც ნამდვილად უნდა ისე მივიდეთ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომ მასში მონაწილეობას აზრი ჰქონდეს“ – განაცხადა ბათიაშვილმა.

კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრის თქმით, „ფეისბუქზე“ ატვირთული ვიდეოს ფრაგმენტმა „სახალხო კრებაში“ გაოცება გამოიწვია.

„გაკვირვებული დავრჩით, თუ რა მიზანს ისახავდა ვიდეოს ფრაგმენტის მიზანდასახულად გამოქვეყნება. როგორ შეიძლება ნინო ბურჯანაძე ან „სახალხო კრება“ ხელს უშლიდეს „ქართულ ოცნებას“ თავის საქმიანობაში“ – აღნიშნავს ბათიაშვილი.

მისი განმარტებით, „სახალხო კრება“ ბიძინა ივანიშვილს სოლიდარობას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის პირველივე დღიდან უცხადებდა.

„გარდა სოლიდარობის გამოცხადებისა, ჩვენი მხრიდან სხვა არაფერი ყოფილა. ჩვენ თავიდანვე გამოვუცხადეთ მას სოლიდარობა და მხარდაჭერა და დღესაც იგივე დამოკიდებულება გვაქვს. ასე რომ, სრულიად გაუგებარია რას ნიშნავს, რომ ნინო ბურჯანაძე ხელს უშლის რამეში ბიძინა ივანიშვილს. რაში უნდა უშლიდეს ხელს, როცა იგი მუდმივად გამოხატავდა თავის სოლიდარობას და თანადგომას“ – აღნიშნა ბათიაშვილმა.

ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ ივანიშვილის გვერდზე ბიზნესმენთან „სახალხო კრების“ და „ქართულ აკადემიის“ წარმომადგენლების შეხვედრას ეხება. ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნებულ ფრაგმენტში ბიზნესმენი გასული წლის 26 მაისს განვითრებულ მოვლენებზე საუბრობს. ასევე, ნინო ბურჯანაძის მისამართით აღნიშნავს, რომ თუ ადამიანი თავისი მონაწილეობით საერთო საქმეს ვერ ეხმარება, არ უნდა დააზიანოს მაინც. „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს მოთხოვნის მიუხედავად, ჩანაწერის სრული ვერსია „ქართულ ოცნებას“ ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია და არც „სახალხო კრებისთვის“ გადაუცია. კრების წარმომადგენელი ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, დაახლოებით სამ საათიანი შეხვედრიდან, მათ მხოლოდ 19 წუთიანი, უხარისხო ვიდეომასალა მიიღეს.

**ნიუსპრესი**

## საქართველოს საზღვართან 4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

გუშინ აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, საქართველოს საზღვრიდან 29 კილომეტრში 4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ამის შესახებ ინფორმაციას ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრი ავრცელებს.

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, მიწისძვრის ეპიცენტრი ზაქათალაში იყო და ძლიერი ბიძგები რაიონის მთელს ტერიტორიაზე იგრძნობოდა. მიწისქვეშა ბიძგები 12:41 საათზე დაფიქსირდა და დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. მიწისქვეშა ბიძგები საქართველოს მოსაზღვრე ბელაქნის რაიონშიც იგრძნობოდა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რა გაფრთხილება მისცა ახალაიას უწყებას აშშ-ის თავდაცვის უწყების ჩინოსანმა

შალვა ჯოხაძე

**ყველა არჩევნებზე ასე ხდება – თავდაცვის უწყების დახურული უბნებიდან, სადაც ხმას სამხედრო მოსამსახურეები აძლევენ, ხელისუფლებას მიაქვს ბიულეტენები, რომლებიც ხუთიანების გარდა არაფერია შემოხაზული. მომავალი არჩევნებიც დარღვევებით რომ არ ჩატარდეს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ისიცაა, ეს ასე აღარ მოხდეს. ეს ყველაფერი იციან ამერიკაშიც, რომლის მხრიდან გაკეთებული განცხადებების ინტერპრეტირებაში ჩვენს ხელისუფლებას ბადალი არ ჰყავს. ამ განცხადებებიდან მხოლოდ იმას გვაცნობენ, რაც სახელისუფლებო გუნდს სურს. რაც ხელს არ აძლევთ, იმის ან „გაკეთილშობილებულ“ ვარიანტს გვაწვდიან, ან სრულიად გვიმალავენ. როგორც ირკვევა, ასე მოხდა აშშ-ის თავდაცვის მდივნის მეორე მოადგილის, სელესტ უოლანდერის საქართველოში ვიზიტის შემთხვევაშიც.**

რადიო „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს გამგეობის წევრმა, თეონა აქუბარდიამ განაცხადა, რომ სახელისუფლებო არხებმა საქართველოში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მეორე მოადგილის, სელესტ უოლანდერის ვიზიტის დეტალები დამალეს. თავდაცვის სამინისტრომ მხოლოდ იმის შესახებ გააკეთა განცხადება, რომ უოლანდერი გვსტუმრობდა, თუმცა რა მნიშვნელოვანი მინიშნებები გააკეთა მან, ეს დამალეს.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს გამგეობის წევრის თეონა აქუბარდიას განცხადებით, სელესტ უოლანდერმა საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად გააკრიტიკა და თავდაცვის სამინისტრომ საზოგადოებას შეხვედრის დეტალები ამიტომაც დაუმალა. როგორც თეონა აქუბარდიამ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში აღნიშნა, სელესტ უოლანდერის გამოსვლაში რამდენიმე ძირითადი გზავნილი გამოიკვეთა, საქართველოში სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და არჩევნებზე ჯარის ნეიტრალიტეტის საკითხის მნიშვნელობის შესახებ.

– სელესტ უოლანდერმა თავის საჯარო ლექციაში რამდენჯერმე გაუსვა ხაზი არმიის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის აუცილებლობას. მან მკაფიოდ აღნიშნა, რომ არჩევნებზე ისინი თავდაცვის სამინისტროსაც დააკვირდებიან, რათა დაინახონ, გააზრებული აქვს თუ არა მას საკუთარი როლი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში. თავის საჯარო ლექციაში ამერიკის თავდაცვის მინისტრის მეორე მოადგილემ რამდენჯერმე ახსენა ჯარის ქცევა, აპოლიტიკურობა და არმიის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთი მწვავე საკითხების დასმის გამო არ გააშუქეს სახელისუფლებო არხებმა უოლანდერის ლექცია. საქართველოში დამკვიდრდა ტრადიცია, რომ სამხედროებს არ უნდა მოსწონდეთ ოპოზიცია. დახურულ საარჩევნო უბნებზე კი ხმა მმართველ პარტიას უნდა მისცენ, რაც დანაშაულია. სამხედრო უწყებების აპოლიტიკურობა ქვეყნის სტაბილურობასა და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას უწყობს ხელს, – განაცხადა თეონა აქუბარდიამ.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა დეტალებით, თუ რის შესახებ მიუთითა სამხედრო უწყებას ქალბატონმა სელესტ უოლანდერმა. ამის შესახებ ამერიკის თავდაცვის მდივნის მეორე მოადგილე უოლანდერის გამოსვლის ოფიციალური თარგმანიდან შევიტყვეთ, რომელიც საქართველოში აშშ-ის საელჩომ მოგვაწოდა. უოლანდერი, ძირითადად, ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებს, მომავალ ოფიცრებს მიმართავს, თუმცა პირდაპირ მინიშნებებს აკეთებს მთლიანად, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მისამართითაც.

მისალმების სიტყვის შემდეგ, უოლანდერი საქართველოს თავდაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს შეეხო.

– რეფორმები, რომელზეც ადმირალი მონტგომერი და მე სიამაყით ვსაუბრობთ, განხორციელდა აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის მხარდაჭერით. მართლაც, მჭიდრო თანამშრომლობით მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ.

ვფიქრობ, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა იმიტომ შევძელით, რომ ჩვენი ქვეყნები დემოკრატიის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ნორმების ერთგულნი არიან.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების გარდა, ჩვენი თანამშრომლობა ფოკუსირებული იყო თავდაცვის ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე, მათ შორის, თავდაცვის დოქტრინის შემუშავებაზე, შესაბამისი სტრუქტურებისა და სისტემების ორგანიზებაზე თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალებში, აგრეთვე ეფექტური, პროფესიული სამხედრო განათლების პროგრამის დანერგვაზე. მართალია, სამუშაო დასრულებული არ არის, მაგრამ ჩვენი და აგრეთვე, ნატოს შეფასება მიუთითებს, რომ თქვენი რეფორმების შედეგად, დაწყებულია ისეთი სამხედრო უწყების ჩამოყალიბება, რომელიც დღეს უფრო თავსებადია არა მხოლოდ აშშ-ისა და ნატოს ძალებთან, არამედ თანდათან პასუხობს ქცევის დასავლურ და ევრო-ატლანტიკურ სტანდარტებს. საქართველოს სამხედრო უწყება თანდათან იზიარებს თანამედროვე, პროფესიული ჯარის სულისკვეთებას, ჯარისა, რომელიც თამაშობს აპოლიტიკურ როლს თქვენი დემოკრატიის მხარდაჭერის საქმეში. ამგვარ გარდაქმნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, – აღნიშნა სელესტ უოლანდერმა.



სელესტ უოლანდერი და ბაჩო ახალაია

## ამერიკამ ქართულ ჯარს ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემაში მონაწილეობა მოსთხოვა

უოლანდერმა აღნიშნა, რომ იცის, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მსგავსად, კმაყოფილებით შეხვდა ამერიკა-საქართველოს პრეზიდენტების განცხადებას, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. მაგრამ თანამშრომლობის გაღრმავება ახალი სფეროების ასათვისებლად არ ნიშნავს, რომ აშშ შეწყვეტს მუშაობას თავდაცვის ინსტიტუტების მშენებლობის საფუძვლებზე, რამაც დღევანდელ წარმატებამდე მიიყვანა ქართული ჯარი. უოლანდერის თქმით, პირიქით, ქართველებმა მათ უნდა დაანახონ, რომ აითვისეს ფუნდამენტური პრინციპები და კვლავაც აგრძელებენ მუშაობას, სანამ ეს პრინციპები ქართულ სამხედრო უწყებაში ტრადიციად არ იქცევა.

როგორც აღვნიშნეთ, ამერიკელმა სამხედრო ჩინოსანმა ქალბატონმა მომავალ ოფიცრებს მიმართა.

**სელესტ უოლანდერი:**

– თქვენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომავალი მეთაურები ხართ. გვჯერა, რომ თქვენი ჯარის ქცევა და როლი, რომელსაც ის თქვენს დემოკრატიულ საზოგადოებაში თამაშობს, ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს მომავალი უსაფრთხოების საქმეში. თქვენ და თქვენმა ხელმძღვანელობამ დიდი დრო, მონდომება და რესურსი მოახმარეთ იმის დემონსტრირებას, რომ საქართველო მზადაა ევროპასთან ინტეგრაციისთვის, რომ საქართველო მზადაა, გახდეს ნატოს წევრი. ზოგი ეჭვქვეშ აყენებს თქვენს ქვეყანაში მიღწეულ პროგრესს. ჩვენ კი გვსურს, ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური ნაბიჯი, რომელიც შეგიძლიათ გადადგათ სკეპტიკოსების დასარწმუნებლად, არის იმის ცალსახად ჩვენება, რომ ზუსტად გესმით და შეგიძლიათ ჯარისათვის შესაფერისი როლის შესრულება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაიმე სახის იარაღის, ან სამხედრო აღჭურვილობის შეძენა, საბრძოლო უნარ-ჩვევების გამომუშავება, ანდა თავსებადობა ნებისმიერ კოალიციურ ძალასთან.

ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გადამწყვეტი გამოცდის ჩასაბარებლად ქართულმა ჯარმა უნდა აჩვენოს, რომ კარგად ესმის, რა როლი აკისრია სრულფასოვანი დემოკრატიის მქონე ევროპულ საქართველოში – ისეთ საქართველოში, რომლის შესაქმნელადაც, თქვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე თავდაუზოგავად იღვწის. მიმაჩნია, რომ ვერაფერი შეაფერხებს ნატოში თქვენი ინტეგრაციის მხარდაჭერას და ვერაფერი გააძლიერებს თქვენი ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილთა ეჭვებს უფრო მეტად, ვიდრე თანამედროვე ევროპული ქვეყნისათვის შეუსაბამო ქცევა და ნაბიჯები.

უოლანდერის განცხადებით, წელს და მომავალ წელს, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, მსოფლიო დააკვირდება საქართველოს, რათა დაინახოს, უწყობს თუ არა ხელს მიმდინარე რეფორმები კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას და ისეთი არჩევნების ჩატარებას, რომლის შედეგიც, ქართველი ხალხის ნების შესაბამისად, ხელისუფლების თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული გადაცემა იქნება. ისინი დააკვირდებიან თავდაცვის სამინისტროსაც, რათა დაინახონ, გააზრებული აქვს თუ არა მას საკუთარი როლი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში.

– რაკი ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი – თუ გნებავთ, გადამწყვეტი გამოცდა – ადმირალ მონტგომერის და მე გვსურს, თქვენთან ერთად განვიხილოთ ამ მნიშვნელოვანი კონცეფციის ზოგიერთი პრინციპი.

ეს იგივე პრინციპებია, რომელსაც ვასწავლით ჩვენს კადეტებს, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს პრინციპები არა მხოლოდ ფურცელზე ჩამოწერილი წესებია, არამედ ჩვენი ჯარის სულისკვეთებისა და ტრადიციების განუყოფელი ნაწილი.

პირველი პრინციპი – მოქალაქეებმა, ქვეყნის დემოკრატიული სტუქტურებისა მეშვეობით და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაყრდნობით, უნდა მიაღწიონ კონსენსუსს ჯარის როლსა და ამოცანებთან დაკავშირებით;

მეორე პრინციპი – ჯარი უნდა იყოს არა მხოლოდ კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული ამ ამოცანების გადასაწყვეტად, არამედ დაიცვას პილიტიკური ნეიტრალიტეტი და არ დაუჭიროს მხარი რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს;

მესამე პრინციპია სამოქალაქო კონტროლისა და სამოქალაქო ინსტიტუტების უპირატესობა სამხედრო ინსტიტუტებზე;

ბოლო პრინციპია საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების სწორ გაძლოლასა და კონტროლს, აგრეთვე უზრუნველყოფს ისეთ ინსტიტუციურ კონტროლსა და ბალანსს, როგორიცაა: საზოგადოებრივი კონტროლი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების (პარლამენტი) მეშვეობით; გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მათ შორის მედიასაშუალებების დახმარებით, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, გააკეთოს ინფორმირებული დასკვნა შეიარაღებული ძალების შესახებ; და იერარქია, რომელიც შეიარაღებულ ძალებს ანგარიშვალდებულს ხდის ადმინისტრაციული ორგანოს (თავდაცვის სამინისტროს) მიმართ, რომელიც ჯარს საზოგადოებრივი ნების გათვალისწინებით მართავს, – აღნიშნა სელესტ უოლანდერმა.

უოლანდერმა უფრო დეტალურად განიხილა ზემოჩამოთვლილი პრინციპები. მან დაიწყო იმით, თუ რა როლი აკისრია სამხედრო უწყებას დემოკრატიის მხარდაჭერის საქმეში. უოლანდერის თქმით, სამხედროები და მოქალაქეები უნდა შეთანხმდნენ, თუ რა არის შეიარაღებული ძალების დანიშნულება. აშშ-ში, აგრეთვე ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობაში, ჯარს მრავალი ფუნქცია აკისრია: ქვეყნის დაცვა; მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება; სუვერენიტეტისა და არჩეული ეროვნული ლიდერების მიერ განსაზღვრული ეროვნული ინტერესების დაცვა; წვლილის შეტანა ალიანსის კოლექტიური თავდაცვის საქმეში; ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა; საძიებო და სამაშველო ოპერაციების განხორციელება ბუნებრივი კატასტროფების დროს; და ზოგიერთ შემთხვევაში, სამოქალაქო ხელისუფლების დახმარება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად.

თუმცა, ყველა ამ ფუნქციის საფუძველია პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობენ დაკისრებული ამოცანების შესრულებისას. შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეებმა უნდა გააცნობიერონ ამ პრინციპების მნიშვნელობა, როდესაც სამსახურის დაწყებისას ფიცს დებენ.

უოლანდერის განცხადებით, აშშ-ში ფიცს დებს არა მარტო ჯარისკაცი, არამედ სამთავრობო უწყების ყველა თანამშრომელი. ფიცის დადებისას ისინი პირობას დებენ, რომ „დაიცავენ კონსტიტუციას სრული რწმენითა და ერთგულებით“.

სელესტ უოლანდერი:

– თქვენ და მე ვასრულებთ ჩვენი ხელმძღვანელების ბრძანებებს, მაგრამ ამავე დროს ვიცავთ ჩვენი ქვეყნების დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი ხალხების თავისუფლება, უფლებები და კეთილდღეობა.

თუ ჯარისკაცი პოლიტიკურ საქმეებში ერევა, ის არღვევს დემოკრატიისა და კონსტიტუციის დასაცავად დადებულ ფიცს. სამხედრო უწყებას არავითარი როლი არ გააჩნია იმის გადაწყვეტაში, თუ ვის უნდა ეპყრას პოლიტიკური ძალაუფლება. მივადექით ჩემ მიერ დასახელებულ კიდევ ერთ პრინციპს სამხედრო უწყების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესახებ. სამხედრო უწყება არა მარტო აპოლიტიკური უნდა იყოს, არამედ ყველა თვალნათლივ უნდა ხედავდეს, რომ ის აპოლიტიკურია. სხვა შემთხვევაში, ხალხისა და სხვათა თვალში სამხედრო უწყება დაკარგავს ლეგიტიმურობას. ჩვენი სამხედრო უწყებების აპოლიტიკურობა კი ხაზს გაუსვამს მათ ლეგიტიმურობას და ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, რაც შესაძლებელს გახდის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ეს არის ყველაზე მთავარი პრინციპი.

მინდა დავამატო, რომ ჯარის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი არ ნიშნავს, რომ ფორმიან მამაკაცებსა და ქალებს არ გააჩნიათ სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემის კანონიერი უფლება. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედროები ამაყობენ საარჩევნო უფლებით, რომელიც მათ მთავრობის ყველა დონის არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. სამხედრო მოსამსახურეები ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. ჩვენ ხელს ვუწყობთ მათ, რათა გამოიყენონ საარჩევნო უფლება. მათი არჩევანი გარანტირებულად პირადი და კონფიდენციალურია. არ არსებობს რისკი, რომ მათი არჩევანი მათ სამხედრო კარიერაზე რაიმე გავლენას მოახდენს. თუმცა ჩვენმა სამხედრო მოსამსახურეებმა იციან, რომ იმ დროს, როდესაც მათ აქვთ ხმის მიცემის უფლება, პოლიტიკურ კამპანიასა ან პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილება ეკრძალებათ.

უოლანდერმა ახსენა სამოქალაქო კონტროლისა და საკანონმდებლო ორგანოს მიერ სამხედრო უწყების შემოწმება-დაბალანსების პრინციპები. მისი განმარტებით, საკანონმდებლო შტო (ამერიკაში ეს არის კონგრესი) ახორციელებს სამხედრო უწყების კონტროლს თავდაცვის ბიუჯეტის დამტკიცებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მეშვეობით. ამ უფლებამოსილებით, კონგრესს საშუალება აქვს, განსაზღვროს სამხედრო პერსონალისა და აღჭურვილობის დაფინანსების მოცულობა და თვით შეიარაღებული ძალების რიცხოვნობაც კი. კონგრესში (ევროპული პარლამენტების მსგავსად) არის სპეციალური კომიტეტები, რომელშიც გაერთიანებულია ყველა პოლიტიკური პარტიის წევრი; კომიტეტები ზედამხედველობას უწევენ სამხედრო უწყების აქტივობებსა და გეგმებს, აგრეთვე იცავენ სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს. რაც შეეხება სამხედრო უწყების სამოქალაქო კონტროლს, უოლანდერის თქმით, ამერიკელმა მწერალმა და ისტორიის პროფესორმა რიჩარდ კონმა ერთხელ დაწერა: „სამოქალაქო კონტროლი საჭიროა იმისათვის, რომ უსაფრთხოება დაექვემდებაროს ქვეყნის უფრო დიდ ამოცანებს და არა პირიქით. სამხედრო უწყების დანიშნულებაა ხალხის დაცვა და არა ხალხის ცხოვრების წესის განსაზღვრა“. შემოწმება-დაბალანსების საკონსტიტუციო პრინციპმა სახელმწიფო სამხედრო ამბიციების მქონე პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ამბიციების მქონე სამხედროებისაგან უნდა დაიცვას.

– საქართველომ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დემოკრატიის განვითარებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. პრეზიდენტმა ობამამ პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ეს პროგრესი საგანგებოდ აღნიშნა და გამოხატა მოლოდინი, რომ საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები გაიმართება. ვიმედოვნებ, რომ თქვენი შეიარაღებული ძალები თანაბრად დადებით შთაბეჭდილებას მოახდენენ საქართველოს მხარდამჭერებსა და კრიტიკოსებზე იმის დემონსტრირებით, რომ მათ ესმით, რა როლი აკისრია სამხედრო უწყებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ეს არის ჩემი მოლოდინი. ვიმედოვნებ, რომ ის, რაც დღეს თქვენთან ერთად განვიხილე, თქვენთვის სიახლე არ იყო. იმედი მაქვს, თქვენ უკვე გათავისებული გაქვთ ამ პრინციპების მნიშვნელობა – პრინციპებისა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, გახდება თქვენი სამხედრო უწყების ტრადიცია, – ასე დაასრულა გამოსვლა სელესტ უოლანდერმა.

# გუგული მაღრაძე: მე პროდასავლური ძალა ვარ“

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ გუგული მაღრაძესთან


გუგული მაღრაძე

***— ქალბატონო გუგული, თქვენ აღმოჩნდით იმ პოლიტიკოსთა შორის, რომლებზეც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა აქცენტი. რამ განაპირობა პროდასავლელი რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიის გვერდით ქალთა პარტიის ლიდერის გამოჩენა — გენდერულმა ბალანსმა?***

— ჯერ ერთი, საკმაოდ გამოკვეთილი პროდასავლური ძალა ვარ იმ გაგებით, რომ ბევრი ჩემი ღირებულების სისტემა ნამდვილად არის დასავლური, რომელიც ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიასთან არის დაკავშირებული. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ვემსახურებოდი იმას, რომ ეს იდეალები, ღირებულებები ჩვენი საზოგადოებისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო. ამიტომ ვფიქრობ, ჩემი განვლილი ცხოვრებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, ჩემს პროდასავლურობაში ეჭვი არავის ეპარება. ამასთან, მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ეროვნული სახელმწიფო. ყველა ნორმალური სახელმწიფო ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს. თუმცა, უნდა გავიზიაროთ ის ღირებულებები — დამოკიდებულება ადამიანის უფლებებისადმი, დემოკრატიისადმი, მართლმსაჯულებისადმი, რომლებიც აშშ-ია. ეს არის გაზიარებული მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების მიერ და ჩვენც უნდა გავიზიაროთ, თუ გვინდა, რომ მართლა ისეთი ოჯახის წევრი ვიყოთ, სადაც გაცილებით უკეთესად და კარგად ცხოვრობს ადამიანი, იმ ტიპის სახელმწიფოებში, საითკენაც ჩვენ უნდა ვისწრაფვოდეთ, თუ გვინდა, რომ ნორმალური განვითარება ჰქონდეს საქართველოს. ასე რომ, ამ მხრივ არაფერი არ არის ჩემს პიროვნებაში და ჩემს საქმიანობაში ისეთი, რომ არ იყოს პროდასავლური. ამავე დროს, ძალიან ეროვნული ძალა ვართ იმ გაგებით, რომ მიგვაჩნია, ყველა სახელმწიფოში ეროვნული თვითმყოფადობის განვითარებაა მთავარი. ადამიანისთვის ეთნიკური კუთვნილება საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ გარკვეული გენეტიკური კოდის, მენტალობაა და ა.შ. ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი გასაგები იყო. რაც შეეხება იმას, რომ ქალთა პარტიის თავმჯდომარე ვიყავი, ალბათ, ამანაც გარკვეული როლი ითამაშა, რადგანაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ძალიან დადებითად უყურებს ქალების მონაწილეობას პოლიტიკაში და თვლის, რომ გენდერული თანასწორობის იდეა რეალურად უნდა იყოს განხორციელებული. გარდა ამისა, მე ვთვლი, რომ ამ არჩევანის დროს გათვალისწინებული იქნება ჩემი განვლილი გზაც — მე არასოდეს მიღალატია ჩემი პროფესიული ეთიკისთვის, არჩეული გზისთვის, არც სამართლიანობისა და კეთილსინდისიერებისთვის. სულ ვცდილობდი, რომ ამ პრინციპებით მეცხოვრა და, მე მგონი, ჩემი ნაბიჯები ცხოვრებაში ასეთიც იყო. არასწორი აზრის გამოთქმისგან არავინ არის დაზღვეული. შეიძლება, დღეს რაღაც კარგი გგონია და მერე აღმოჩნდეს, რომ ასე არ არის. მაგრამ ადამიანს იმის გაბედულება უნდა გქონდეს, რომ როდესაც თვლი, რომ რაღაც სწორად არ მიგაჩნია, ამის შესახებ ღიად თქმა უნდა შეგეძლოს და უნდა გამოასწორო. შეიძლება თქვა ეს ისეთ პირობებში, როდესაც ეს გარკვეულად დისკომფორტისა და ზიანის მომტანიც არის. თუკი ადამიანი ამას გადალახავს, მაშინ მის მიმართ ყოველთვის არის საზოგადოებაში დადებითი დამოკიდებულება. ყველაფერი ეს ერთად, ალბათ, ძალიან კარგი საფუძველი იყო იმისთვის, რომ იმავე ბიძინა ივანიშვილსა და ყველა გონიერ პოლიტიკოსს, რომელსაც უნდა, რომ ქვეყანაში დაამკვიდროს სამართლიანობა, პროფესიონალიზმი და სხვა, ირგვლივ ასეთი ადამიანები უნდა ჰყავდეს.

***— თქვენთვის ძნელი არ იყო, პარტიის ლიდერობა დაგეთმოთ და ივანიშვილის პარტიის ერთ-ერთი რიგითი წევრი გამხდარიყავით?***

— მე ვარ ამ პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრი. მე იმ 15-17 ადამიანში მოვიაზრები, რომლებიც ივანიშვილის პარტიის დასაყრდენი არიან. თავად ივანიშვილმა ასე განაცხადა.

***— ანუ თქვენ ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ საპარლამენტო სიის წინა რიგებში იქნებით?***

— ცხადია. ბატონმა ბიძინამ თქვა, ჩვენ მოვიაზრებთ იმ 15-17 კაცს, რომლებიც არიან მისი პარტიის საინიციატივო ჯგუფის ძირითადი ბირთვი საპარლამენტო სიაშიო. ვნახოთ, რა იქნება. თავად ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამ სიაში, ანუ ძირითად ბირთვში მეც მომიაზრებს. აქ მთავარი ეს არ არის. ცხადია, როცა ქალთა პარტიას ქმნი და ამ 4 წლის განმავლობაში მოვახერხეთ, რომ ვჩანდით აქტიურად პოლიტიკურ პროცესებში, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. უცხოელებისთვისაც ცნობილია ეს პარტია. ყველა, ვინც ჩამოდის, პოლიტიკური სისტემის კვლევისთვის და ა.შ., ყველასთან ჩვენ შეხვედრა გვაქვს, იმიტომ რომ თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებობს ქალთა პარტია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბევრი სხვადასხვა ასპექტით და მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო მმართველობის დონეზე დემოკრატია არ არის, მაგრამ საზოგადოებრივი მენტალობის დონეზე დემოკრატიის კარგი ყლორტებია. ფაქტია, ქვეყანაში არსებობს ქალტა პარტია და ამას უცხოელებიც ხედავენ, რომელიც იბრძვის იმისთვის, რომ ქალების თანაბარი მონაწილეობა იყოს პოლიტიკაში. თავისთავად, ასეთი პარტიის თავმჯდომარეობაზე უარის თქმა ადვილი არ არის. მაგრამ, ჯერ ერთი, მე ვთვლი, რომ პარტიაში რაღაც ტიპის როტაცია უნდა იყოს. შეიძლება, სხვა ასპარეზზე არც გადახვიდე და თქვა, რომ პარტიაში ახალი ძალები უნდა მოვიდნენ და მათ გზა დაუთმო. ახალგაზრდებსაც უნდათ თავიანთი ძალების მოსინჯვა. მე პარტია იურიდიულად დავტოვე, მაგრამ ამირჩიეს პარტიის საპატიო თავმჯდომარედ და სათათბირო ხმის უფლებით ყოველთვის შემიძლია პარტიის საქმიანობაში მონაწილეობა მივიღო და ასეც იქნება, იმიტომ რომ გარკვეულწილად ჩემი პირმშოც არის ეს პარტია. მიუხედავად იმისა, რომ ახლა მას სხვა ხელმძღვანელობა ჰყავს, ყოველთვის ვიქნები მასთან კონსულტაციის რეჟიმში და გარკვეული გავლენაც მექნება ამ პარტიის მუშაობაში.

***— თქვენთვის უარყოფითი იმიჯის მომცემი ხომ არ იქნება საზოგადოების თვალში, რომ დადექით იმ ლიდერის გვერდით, რომელსაც ხელისუფლება პრორუსულ ძალად წარმოაჩენს და პუტინის მეგობრად აპიარებს ივანიშვილს?***

— მოცემულ მომენტში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ივანიშვილის სახით ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა ადამიანი, რომელსაც დადებითი მიმართულებით შეუძლია ქვეყანაში სიტუაციის შეცვლა. მიმაჩნია, რომ იმ ძალამ, რომელიც დღეს არის ხელისუფლებაში, უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები, თავისი რესურსები და მისი ყოველი ნაბიჯი არანაირი პროგრესის მომტანი არ არის, პირიქით, ვხედავ, რომ ქვეყანა ნელ-ნელა ვალებში ეფლობა. თანდათან ვერთვებით რაღაც გაუაზრებელ პროექტებში. სიღარიბე იზრდება. ადამიანის უფლებების შელახვა ხდება და ასეთ დროს, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის ადამიანი, რომელსაც პირველი, როგორც მინიმუმ, შეუძლია ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვიცით, რომ წლების მანძილზე ეს იყო ჩვენი ოპოზიციის აქილევსის ქუსლი, იმიტომ რომ, ვთქვათ გულწრფელად: ოპოზიციური ძალების ლიდერებს, გარდა ივანიშვილისა, ყველას აქვს მეტ-ნაკლებად თანაბარი პრეტენზიები, ასე ვთქვათ, ოპოზიციის ლიდერობაზე. ამიტომ ამ თვალსაზრისით გაერთიანება და ერთი ლიდერის გამოკვეთა ძალიან ძნელდებოდა. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ლიდერი არ გვინდა და ყველა თანაბარ პარიტეტულ საწყისებზე ვიყოთ, ასე არ გამოდის, არაფერი იცვლება. ცუდია ეს თუ კარგი, საზოგადოებამ განსაჯოს. მთავარია, ეს ლიდერი დემოკრატიულად მართავდეს. მართვის ჰორიზონტალური სტილი უნდა იყოს მთავარი. მაგრამ გამოკვეთილი ლიდერი, მით უმეტეს დღევანდელ სიტუაციაში ოპოზიციასა და მოსახლეობას ძალიან სჭირდება იმისთვის, რომ შეძლოს ამ ხელისუფლების დამარცხება. ეს ხელისუფლება არჩევნებში, ცხადია, დასამარცხებელია, იმიტომ რომ მას ნამდვილად არ შეუძლია მართვა. ჩვენ ყველა ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ, რომ ბლეფსა და სიცრუეზეა ეს მართვა აგებული. ერთი ტყუილი — აზერბაიჯანთან რაღაც კეთდება, მეორე ტყუილი — ჯვრის მონასტერთან. გარანტია იმისა, რომ ასეთ ბლეფებზე აგებული ქვეყანა ნორმალურად განვითარდება, მე მგონი, არავის აქვს და ასეთი ხელისუფლება შესაცვლელია. ისედაც ძალიან კარგი ხელისუფლებაც რომ იყოს და ქვეყანა ააყვავოს, მაინც უნდა შეიცვალოს 4 წლის შემდეგ. ტყუილად კი არ არის 4-წლიანი ან მაქსიმუმ 8-წლიანი ვადა პრეზიდენტის პოსტზე. ახალი პოლიტიკური ძალა უნდა გამოჩნდეს. ისე კი არ არის, როგორც ნაცმოძრაობა ამბობს, იგივე პოლიტიკური ძალა უნდა იყოს და ლიდერი შეიცვალოს. არა. სწორედ პოლიტიკური ძალა უნდა შეიცვალოს. ეს არის დაწერილი თუ დაუწერელი კანონი ნორმალური განვითარებისა. არა მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლებაში, ნორმალურ ორგანიზაციებშიც ხდება როტაციის პრინციპით ხელმძღვანელის შეცვლა. ასეთი ტიპის ცვლილებები საჭიროა, კარგად რომ მიდის საქმე — მაშინაც, მით უმეტეს, ჩვენნაირ ქვეყანაში, სადაც ვხედავთ, რომ ნაცმოძრაობა უკვე პარტია აღარ არის. მე არ მიყვარს მკვეთრი გამოთქმები, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ნაციონალური მოძრაობა არა მხოლოდ ხელისუფლებასთან არის შეზრდილი, გარკვეული მაფიოზური კლანიცაა, რომელიც ყველაფერს მართავს: ბიზნესს, სამართალდამცავ ორგანოებს, ეკონომიკას, მედიას. ამიტომ, თუ გვინდა ნორმალური განვითარება, ეს ყველაფერი შესაცვლელია. პირველ რიგში, ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ამიტომ, როდესაც გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც აქვს მაღალი მორალური ავტორიტეტი; რომელსაც აქვს მაღალი ავტორიტეტი მსოფლიოს ბიზნეს-წრეებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მას მხარი უნდა დავუჭიროთ. გარდა ამისა, მას აქვს ფინანსური რესურსი. ამიტომაც გადაირია ეს ხელისუფლება. ისეთ რაღაცებს აკეთებს, გაოცდები. ბოლომდე წვრილმანდება, ოღონდ რაღაც ავნოს ივანიშვილსა და მის იმიჯს ფინანსების გამო. მე, მაგალითად, შემრცხვებოდა, როდესაც ხელისუფლება ტრაბახობს, რომ ჩვენთან საბაჟო კონტროლი გამარტივებულია, ეს რატომღაც არ ვრცელდება ივანიშვილისა და მისი ფირების ტვირთებზე. ორჯერ გააფუჭეს საბაჟოზე ივანიშვილის ტვირთი და ახლაც უკვე ერთი კვირაა გაჩერებული აქვთ. აი, ასეთ წვრილმანზეც მიდის ხელისშესაშლელად.

***— ხელისუფლება ფიქრობს, რომ მხოლოდ ივანიშვილის დიდი ფინანსური შესაძლებლობების გამო მიდიან მასთან პოლიტიკოსები. ასეა?***

— რა თქმა უნდა, არა. თუმცა, ივანიშვილის ფინანსური რესურსიც ძალიან მნიშვნელოვანია ამ გაერთიანებისთვის. როდესაც არის გაერთიანების აუცილებლობა, არა მგონია, რომელიმე ოპოზიციონერმა თქვას, მე არ მინდა ამ გაერთიანებაში, ცალკე მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში და გავიმარჯვებო. ჩვენი პარტია აუცილებლად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, იქნება კოალიციის მხარდამჭერი. ვნახოთ, არჩევნების წინ როგორ იქნება საარჩევნო სიტუაცია, გარემო, ცალკე ვიქნებით თუ მთლიანად შევალთ ამ კოალიციაში. მე მიმაჩნია, რომ წინ საერთო საქმე უნდა დავაყენოთ. ძალიან კარგია, რომ მეც ბატონი ივანიშვილის გუნდში ვარ და კარგია, იქნებ ეს კოლიცია გამდიდრდეს ისეთი ადამიანებით, რომლებსაც მოსახლეობისგანაც მხარდაჭერა და დადებითი წარსული აქვთ. გარდა ამისა, გარკვეული გამოცდილება და განათლებაც აქვთ იმისათვის, რომ შეძლონ ადამიანებს ელაპარაკონ და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყნისა და თითოეული ადამიანის პრობლემის მოსაგვარებლად იმუშაონ, ანუ ამის ცოდნა და გამოცდილება ჰქონდეთ.



## ილია II: ყოველი თქვენგანი იყოს მატარებელი უფლის ნათლისა!“

გუშინნდელ საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისი მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II წმინდა გრიგოლ პალამა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსი გაიხსენა.

როგორ პატრიარქმა ბრძანა, მას კარგად აქვს აღწერილი ფერისცვალების დღეს თაბორის მთის განათებისას, რომელი ნათება იყო ეს მატერიალური თუ სულიერი.

,,ტროპარში ნათქვამია, რომ უფალმა ნათებით გამოუცხადა თავი თვისი რამდენადაც შეეძლოთ აეტანათ ეს ნათება მოციქულებს“, — ბრძანა პატრიაქმა და ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი მოსე გაიხსენა, რომელსაც სინას მთიდან ჩამოსვლისას სახეზე ჩადრის ჩამოფარება დასჭირდა გასხივოსნებული სახის დასაფარად, რადგანაც ღვთის მადლით მისი სახე იმდენად იყო განათებული, რომ ხალხს თვალს სჭრიდა.

ილია II მრევლს უსურვა, რომ ყოველი მათგანი იყოს მატარებელი უფლის ნათლისა.

,,იესო ქრისტემ განგვანათლოს ყოველთა. დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ ღმერთმა და მრავალ ბედნიერ აღდგომას დაგასწროთ უფალმა“, — აღნიშნა უწმინდესმა.

მედიანიუსი

## ქართულ ოცნებას“ სახალხო კრებისთვის“ შეხვედრის სრული ჩანაწერი კვლავ არ გადაუცია



„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ „სახალხო კრებისთვის“ შეხვედრის სრული ჩანაწერი კვლავ არ გადაუცია.

გაფრინდაშვილი განმარტავს, რომ „სახალხო კრებას“ ივანიშვილთან შეხვედრის მხოლოდ 19 წუთიანი, უხარისხო ვიდეოჩანაწერი გადაეცა, რომელიც „სახალხო კრების“ ვებ-გვერდზეა განთავსებული.

„ჩვენი შეხვედრა ივანიშვილთან დაახლოებით სამი საათი გრძელდებოდა. ჩემი მოთხოვნა გადმოეცათ ჩანაწერის ის ვარიანტი, სადაც ჩვენი მოსაზრებებიც არის დაფიქსირებული, მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა“ — განაცხადა გაფრინდაშვილმა „ნიუსპრესთან“ საუბრისას.

მისივე თქმით, „სახალხო კრება“ არის ძალა, რომელსაც არსებული რეჟიმის შეცვლა ნამდვილად უნდა და თუ ამ ბრძოლაში გასამარჯვებლად რეალური ნაბიჯების გადადგმას „ქართულ ოცნებასთან“ ერთად შეძლებენ, მაშინ „სახალხო კრება“ მათთან თანამშრომლობისთვის მზად არის.

როგორც ნონა გაფრინდაშვილი აცხადებს, მიუხედავად ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით არსებული პრობლემებისა, „სახალხო კრება“ არავის უპირისპირდება.

„სახალხო კრებამ“ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის ამსახველი სრული ჩანაწერის გამოქვეყნება მას შემდეგ მოითხოვა, რაც ბიზნესმენის სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ გვერდზე შეხვედრის ის ნაწილი დაიდო, სადაც ბიძინა ივანიშვილი ნინო ბურჯანაძეზე და გასული წლის 26 მაისის მოვლენებზე საუბრობდა.

ნიუსპრესი

## 53-ე სკოლიდან გარიცხული მიხეილ ალექსიძის საქმეზე მოსამზადებელი სხდომა გაიმართება

53-ე სკოლიდან გარიცხული მიხეილ ალექსიძის ოჯახის სარჩელთან დაკავშირებით დღეს მოსამზადებელი სხდომა გაიმართება. ამის შესახებ „ნიუსპრესს“ მიხეილ ალექსიძის დედამ ლალი ლეკიშვილმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, ოჯახის მთავარი მოთხოვნა უკანონო ბრძანების გაუქმება და 53-ე სკოლაში მოსწავლის სტატუსის აღდგენაა.

მისი თქმით, სწორედ ამის შემდეგ გადაწყვეტს ოჯახი, რომელს სკოლაში გააგრძელებს სწავლას მიხეილ ალექსიძე.

„ნიუსპრესთან“ საუბრისას ლალი ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ მის შვილს მომხდარის გამო სერიოზული ფსიქოლოგიური ტრამვა აქვს და მკურნალობას ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, შესაბამისი მედიკამენტებით გადის.

მიხეილ ალექსიძე 53-ე საჯარო სკოლიდან გასული წლის ოქტომბერში გარიცხეს. ოფიციალური ინფორმაციით, მან სკოლის შინაგანაწესი დაარღვია, რის შემდეგადაც დისციპლინარულმა საბჭომ მოსწავლის გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო. დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე, კი ალექსიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. განათლების სამინისტროს ონფორმაციით, მიხეილ ალექსიძე უკვე ორი თვეა თბილისის 77-ე სკოლაში ირიცხება. გარდა ამისა, მე-20, 122-ე და 124-ე სკოლები მის მიღებაზე მზადყოფნას აცხადებენ.

ნიუსპრესი



## ვანო მერაბიშვილმა სამტრედიის რაიონული პოლიციის ახალი შენობა გახსნა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სამტრედიის რაიონული პოლიციის ახალი შენობა გახსნა. სამინისტროს ინფორმაციით, ახლადგახსნილი პოლიციის შენობაში 150 თანამშრომელი იმუშავებს და სამტრედიის რაიონის 50 სოფელს მოემსახურება.

აღნიშნულ შენობაში ასევე სამტრედიის რაიონული საპატრულო და დაცვის პოლიციის განყოფილებები განთავსდება. შენობის გახსნას იმერეთის მხარის გუბერნატორი ლაშა მაქაცარიაც ესწრებოდა.

ცნობისთვის, 2010-2012 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონებში 95 პოლიციის ახალი შენობა გაიხსნა და ამოქმედდა. ამ დროისთვის იმერეთის რეგიონში 22 პოლიციის ახალი შენობა მოქმედებს, რომლებიც უახლესი კომპიუტერული ტექნიკითაა აღჭურვილი.

პირველი

# ჰიპოკრატე მაედა: მინდა, ვეფხისტყაოსანი" იაპონურად ვთარგმნო"

10 მარტს თბილისში იაპონელი ქართველოლოგის ჰიპოკრატე მაედას წიგნის „ქართველები სეფიანთა ირანში" პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში ღულამთა ოთხი გვარის — ბარათაშვილების, სააკაძეების, უნდილაძეებისა და მირიმანიძეთა სეფიანთა კარზე ცხოვრებაა ასახული. როგორც წიგნის ავტორი ამბობს, ნაშრომში საქართველოს ისტორიისთვის ახალი მასალები და დასკვნებია მოცემული.



ჰიპოკრატე მაედა

ახლო მომავალში ის გიორგი სააკაძის შესახებ აპირებს მასალის გამოცემას, მოგვიანებით კი „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას გეგმავს იაპონურად.

როგორ დაინტერესდა საქართველოთი, რა იყო პირველი სიტყვა, რომელიც საქართველოში ისწავლა, ამ თემებზე ჰიპოკრატე მაედა „ახალ თაობას" ესაუბრება.

თეა მარხვაიძე

ჰიპოკრატე მაედა:

— ბავშვობიდან ძალიან მაინტერესებდა უცხო ქვეყნები. განსაკუთრებით ის ქვეყნები, სადაც აბრეშუმის გზა გადიოდა. სტუდენტობის დროს აქტიურად დავდიოდი კინოში, ვნახე რამდენიმე ქართული ფილმი. მათ შორის იყო თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე". გიორგი შენგელაის „ფიროსმანი", ფარაჯანოვის „ბროწეულის ფერი". აქედან გავიცანი ეს ქვეყანა. მივხვდი, რომ მას ძალიან საინტერესო კულტურა აქვს. იაპონაში არ იყო მასზე წიგნები. მე ვსწავლობდი აღმოსავლეთმცოდნეობას. ჩვენთან ძალიან ძლიერია ირანისტიკა. იაპონიას და ირანს მჭიდრო კავშირები აქვთ. ჩემი მასწავლებელი ერთ-ერთი უძლიერესია ირანისტიკაში. მითხრა, რომ სპარსულ წყაროებში მითითებულია ქართველების მოღვაწეობის შესახებ. საჭიროა ამ თემაზე მუშაობა. მაძლევდა თემებს. სადაც ბევრი ცნობა იყო საქართველოზე. ბევრი რამ გავიგე. ამ ქვეყნით კიდევ უფრო დავინტერესდი. ძალიან მინდოდა ამ ქვეყნის ნახვა. ეს ოცნება ავისრულე და საქართველოში 1995 წელს ჩამოვედი.

***— არ იყო რთული საქართველოში ჩამოსვლა? თან მაშინ აქ მძიმე პერიოდი იყო.***

— ჩემი ბიძა მოსკოვში ცხოვრობდა. ის დამეხმარა, რომ აქ ჩამოვსულიყავი. აქ მართლაც ცუდი პერიოდი იყო მაშინ.

***— საქართველოში რომ ჩამოხვედით, ქართული იცოდით?***

— არ ვიცოდი. რთული იყო, როცა არაფერი არ მესმოდა. თანაც აქ არავის არ ვიცნობდი. თბილისში სექტემბერში ჩამოვედი და დეკემბრამდე დავრჩი. მეორედ 1999 წელს ჩამოვედი და 2001 წლამდე დავრჩი. ნელა-ნელა შევისწავლე ქართული ენა.

***— რთული არ იყო ქართული ენის შესწავლა იაპონელისთვის?***

— ძალიან ძნელი იყო. გამოთქმაა განსაკუთრებით რთული. აქ პირველად რომ ჩამოვედი, ცუდი დრო იყო. დენი ხშირად მიდიოდა. პირველი სიტყვა რაც ვისწავლე, იყო წავიდა და მოვიდა. დენი მაშინ ხშირად მიდიოდა.

***— ქართულ ტრადიციებთან შეგუება არ გაგიჭირდათ?***

— არა. ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია. მე აქ ქართულ ოჯახში ვცხოვრობდი. შუქი რომ მიდიოდა, ჩვენთან მეზობლები შემოვიდოდნენ, იმღერებდნენ, სუფრა იშლებოდა, საოცარი განწყობა იყო. სტუმრის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენენ საქართველოში. სტუმარს ჩვენთანაც განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ჩემს თანატოლებთან ერთად შაბათ-კვიარას გავდიოდი თბილისიდან. ვათვალიერებდი ისტორიულ ძეგლებს.

***— მოგეწონათ?***

— ძალიან მომეწონა. აქ ყველაფერი ძალიან ლამაზია.

***— საქართველოს ბევრი კუთხე გაქვთ ნანახი?***

— ბევრი. ვიყავი თუშეთში, სვანეთში, ბათუმში, ჯავახეთში, ზუგდიდში. თითქმის მთელი საქართველო მოვიარე. თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. ძალიან მომწონს აქაური ტრადიციები. მომწონს პოეზია. გალაკტიონის ერთი ლექსი ვთარგმნე იაპონურად. ძალიან მინდა „ვეფხისტყაოსანის" თარგმნა.

***— ეს ძნელი არ იქნება?***

— იქნება, მაგრამ ძალიან მინდა ამის გაკეთება. სხვათა შორის „ვეფხისტყაოსანი" უკვე ორჯერ არის იაპონურად ნათარგმნი. ოღონდ რუსულიდან. მე კი მინდა, რომ ქართულიდან ვთარგმნო. ასევე ძალიან მომწონს ვაჟა-ფშაველა. მინდა მისი თარგმნაც.

***— მოდით, თქვენს წიგნზე ვისაუბროთ, ირანის შაჰის კარზე ქართველების მოღვაწეობზე.***

— ბევრი ქართველი იყო შაჰის კარზე. ამ თემაზე ბევრი ნაშრომია დაწერილი. მაგრამ ეს არ არის სრული ისტორია. გასული საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთში აღმოაჩინეს დღემდე უცნობი სპარსული წყარო. ძალიან საინტერესოა. იქ ძალიან ბევრი ინფორმაციაა ქართველების შესახებ. ყველაფერი წერია, როგორ მიდიოდნენ-მოდიოდნენ შაჰის კარზე ქართველები. იმედი მაქვს, რომ ეს ქართველებისთვის საინტერესო იქნება.

***— იაპონიაში თუ იქნება ეს საინტერესო?***

— იაპონიაში საქართველოს შესახებ. დღემდე რუსეთის სამხრეთ ნაწილი ჰგონიათ. მეცნიერებისთვის კი ძალიან საინტერესო იქნება.

***— საქართველოს შესახებ თუ გაქვთ კიდევ რამე დაწერილი?***

— არა. მაგრამ ძალიან მინდა გავაკეთო წიგნი ახლადაღმოჩენილი სპარსული ქრონიკის მიხედვით გიორგი სააკაძის აჯანყების შესახებ. ეს ძალიან საინტერესო იქნება. მაგრამ შეიძლება სუბიექტური იყოს. რადგანაც ირანული წყარო ამ აჯანყებას სპარსელთა პოზიციიდან აფასებს.

***— და მოღალატედ ჰყავს ალბათ გამოყვანილი გიორგი სააკაძე?***

— თავისი პოზიციიდან წერს. თუმცა, აქედანაც ჩანს, რომ გიორგი სააკაძე ძალიან საინტერესო პირი იყო. მაღალი თანამდებობაც ეკავა მას. შაჰ-აბასს უნდოდა, რომ სააკაძე ახლოს ჰყოლოდა. მას ფერეიდანთან მისცა მამული. ახალაღმოჩენილ წყაროში სააკაძის შესახებ ძალიან საინტერესო მასალებია. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი, როგორ მოკლა სპარსი სარდალი. ამ საკითხზე არაერთ ისტორიკოსს დაუწერია. მაგრამ ეს განსაკუთრებით საინტერესოა. აქედან ირკვევა, რომ შაჰს არა მარტო კახელების, არამედ ქართლელების გადასახლებაც უნდოდა. სპარსულ ქრონიკებში აქამდე ეს ღიად არ იყო ნათქვამი. არ იყო.

***— სააკაძის შესახებ საქართველოში ორი აზრი არსებობს. ერთნი ამბობენ, რომ ის მოღალატე იყო. მეორენი კი მას გმირად მიიჩნევენ. თქვენ რას ფიქრობთ მასზე?***

— ამის თქმა ძალიან ძნელია. აშკარაა, რომ გიორგი სააკაძის შაჰის ახლობელი იყო. მის დავალებებს ასრულებდა. გასათვალისწინებელია ის აჯანყებაც, რომელიც მან მოაწყო. ის აჯანყება, რომ არა საქართველო გახდებოდა ირანის პროვინცია. ამ მიმართულებით სააკაძემ საქართველოს დიდი საქმე გაუკეთა. მასზე ცალსახად რამის თქმა ძნელია. ის დიდი ადამიანი იყო.

# რაულ ხაჯიმბა დეპუტატი გახდა

## აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდება

თეა მარხვაიძე



რაულ ხაჯიმბა

**24 მარტს აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდება. პირველი ტური აფხაზებისთვის წარმატებული არ აღმოჩნდა. 35 საარჩევნო ოლქიდან დეპუტატი მხოლოდ 13 ოლქში აირჩიეს. 22 ადგილი ისევ თავისუფალია.**

22 ბედნიერის ვინაობა 24 მარტს გაირკვევა. აფხაზური ცესკო არჩევნების მეორე ტურისთვის სრულ მზადყოფნაშია, ყოველ შემთხვევაში, აფხაზური ცესკოს თავკაცი ბატალ ტაბაღუა ასე ამბობს.

წინასაარჩევნო პერიოდი აფხაზეთში საკმაოდ მშვიდად წარიმართა, თუ მხედველობაში ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებულ ტერაქტს არ მივიღებთ. ამ ადამიანს რიგით მეექვსე ტერორისტული აქტი მოუწყვეს. დამნაშავეები ჯერ არ უპოვიათ.

ადგილობრივი ოპოზიცია ამ ფაქტით აღშფოთდა. თუმცა, ეს ფაქტი ისევ ხელისუფლებას შეუტრიალეს. მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ხელისუფლება რესპუბლიკის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.

ამ ტიპის განცხადება აფხაზური ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა რაულ ხაჯიმბამაც გააკეთა. სხვათა შორის, ამ ადამიანს უკავშირდებოდა წინა წლებში ანქვაბზე განხორციელებული რამდენიმე ტერაქტი. ის და ანქვაბი ერთმანეთში ვერასდროს რიგდებოდნენ.

რაულ ხაჯიმბა აფხაზეთის ერთიანობის ფორუმს უდგას სათავეში. სხვა ოპოზიციონერებისაგან განსხვავებით, მას ამ არჩევნებზე გაუმართლა. ის აფხაზური პარლამენტის წევრი პირველივე ტურში გახდა.

აფხაზურ პარლამენტში 35 ადგილია. ამ ადგილების ერთმანეთში გადანაწილებას 148 ადამიანი ცდილობდა. აქედან 125 კანდიდატი აფხაზია, 11 – სომეხი, 8 – რუსი, 2 - ბერძენი, 2 – ქართველი, 1 – ოსი, ერთიც – ყაბარდოელი.

წინასაარჩევნო კამპანია, როგორც უკვე ვთქვით, მშვიდად წარიმართა. აფხაზთა ლიდერმა ანქვაბმა ერს პირობა მისცა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდებოდა. სამართლიანი არჩევნების ჩატარების პირობა ადგილობრივი ცესკოს თავმჯდომარემაც დადო. ამის გარანტი, მათი თქმით, უცხოელი დამკვირვებლები იქნებოდნენ.

აფხაზური მედიის ცნობით, არჩევნებს 46 დამკვირვებელი აკვირდებოდა, რომლებიც რუსეთმა, ვენესუელამ, ნიკარაგუამ, ტუვალუმ, მთიანმა ყარაბაღმა, ასევე ლატვიის, იტალიის, საფრანგეთის, მოლდოვას ცალკეულმა ორგანიზაციებმა გაგზავნეს.

– ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე დე ფაქტო საპარლამენტო არჩევნების დამკვირვებელთა წარმომავლობა მოსკოვის პიარის ნაწილია. ამის შესახებ სააგენტო „ივერონს" განუცხადა „ექსპერტთა კლუბის" წარმომადგენელმა ირაკლი ცქიტიშვილმა. საქმე ეხება აფხაზეთის „საპარლამენტო არჩევნებზე" 46 საერთაშორისო დამკვირვებელთა შორის ლატვიის, იტალიისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა დასახელებას.

ცქიტიშვილის განცხადებით, ეს ის ხალხია, რომლებსაც მოსკოვის მიერ დადგმულ არაერთ შოუში მიუღიათ მონაწილეობა.

– დე ფაქტო არჩევნები, რომელიც 10 მარტს აფხაზეთში ჩატარდა, იმ შოუს ნაწილია, რომელიც უკვე ოცი წელია გრძელდება. დამკვირვებელთა წარმომავლობა კი მოსკოვის პიარის ნაწილია. ეს ის ხალხია, რომლებსაც არაერთ ასეთ შოუში მიუღიათ მონაწილეობა. მათი საქმე ჩვენთვის ცნობილია, – განუცხადა „ივერონს" ირაკლი ცქიტიშვილმა.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე რამდენიმე კანდიდატმა კენჭი აღარ იყარა. კერძოდ,

ორმა სომეხმა კანდიდატმა თავისი კანდიდატურა მოხსნა და უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე.

არდაშ მარკოსიანისა და რობერტ ცაგურიანის ამ გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს აფხაზური ცესკოს ხელმძღვანელმა ბატალ ტაბაღუამ აცნობა. მიზეზები არ სახელდება.

ამდენად, აფხაზურ „პარლამენტში" სომხების 3 ადგილზე 7 კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას - რობერტ აილიანი, ვალერი მაირომიანი, ალბერტ კაპიკიანი, სერგეი მატოსიანი, ლევონ გალუსტიანი და გალუსტ ტრაპიზონიანი.

„ექსპერტთა კლუბში" ეს საკმაოდ საინტერესო ფაქტად მიაჩნიათ.

– აფხაზური რეჟიმის ეთნიკური სიჭრელის გამო მარკოსიანისა და ცაგურიანის კანდიდატურების მოხსნამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის სომეხთა კავშირის თავმჯდომარე ხაჩიკ მინასიანმა სომხურ მედიასაშუალებებს განუცხადა, რომ ოკუპირებულ რეგიონში არსებობს საიდუმლო შეთანხმება, რომ სომხების 35 ოლქისათვის გამოყოფილია 3 ადგილი და სომეხი კანდიდატები იმ ფარგლებს გარეთ თავიანთ კანდიდატებს არ წამოაყენებენ, ამავე დროს, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც „სომხურ" ოლქებში თავიანთ ხალხს არ წამოაყენებენ, – მიაჩნიათ ქართველ-ექსპერტებს.

მართალია, არჩევნებში მეორე ტური დაინიშნა, მაგრამ აფხაზები მაინც კმაყოფილი არიან. განსაკუთრებით კმაყოფილია აფხაზური ცესკოს თავმჯდომარე ბატალ ტაბაღუა. მისი თქმით, არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა თითქმის 45%-მა მიიღო.

როგორც ტაბაღუა ამბობს, არჩევნების დროს არ დაფიქსირებულა არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც ამ პროცესს ხელს შეუშლიდა.

ტაბაღუა იმასაც ამტკიცებს, რომ ამომრჩევლებზე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ამაზე დიდად არც აფხაზურ ოპოზიციას დაუჩივლია.

უკმაყოფილო არც აფხაზური ოპოზიციის ლიდერი რაულ ხაჯიმბაა, რომელიც პირველსავე ტურში გახდა აფხაზური პარლამენტის წევრი.

მასთან შედარებით არ გაუმართლა აფხაზეთის პარლამენტის მოქმედ თავმჯდომარე ნუგზარ აშუბას. იმ ოლქში, სადაც ის იყრიდა კენჭს, მეორე ტური დაინიშნა.

ბატალ ტაბაღუას ცნობით, სპიკერ აშუბას კონკურენტი სამხედრო ჰოსპიტალის ქირურგი დაურ გურგულია იქნება.

ბატალ ტაბაღუა პირობას დებს, რომ მეორე ტური ისევე წესიერად ჩატარდება, როგორც პირველი.

ტაბაღუას მტკიცებით, ცესკო მეორე ტურის ჩასატარებლად უკვე მზად არის.

– ხელისუფლებამ არჩევნებისთვის 10,5 მილიონი გამოყო. თავიდანვე ნათელი იყო, რომ მთელ რიგ ოლქებში მეორე ტურის დანიშვნა გახდებოდა საჭირო, – აცხადებს ტაბაღუა.

აფხაზეთში ჩატარებული არჩევნებით კმაყოფილია ინალ ხაშიგი. ეს უკანასკნელი ოპოზიციურ გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას" რედაქტორია.

ინალ ხაშიგის შეფასებით, ეს არჩევნები, წინა არჩევნებთან შედარებით, ბევრად უკეთესი იყო. ამაზე, მისი თქმით, საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებებიც მოწმობს. ხაშიგს თავად საარჩევნო სისტემა არ მოსწონს. მისი განცხადებით, მაჟორიტარული არჩევნების წესი უკვე მოძველდა.

საქართველო ამ არჩევნებს არ აღიარებს და მას უკანონოს უწოდებს. აფხაზურ არჩევნებს არც სხვა ქვეყნები ცნობენ.

აფხაზებმა ეს ამბავი კარგად იციან, მაგრამ არ ნაღვლობენ. ასეთ არაღიარებაში მათ რამდენიმე მოწვევის პარლამენტი და აგერ უკვე მესამე პრეზიდენტი აირჩიეს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მათი არაღიარებული არჩევნები ბევრად უფრო დემოკრატიულად ტარდება, ვიდრე ჩვენი.

აქაურ არჩევნებს, ბუნებრივია, რუსეთიც გამოეხმაურა. მათ ხელისუფლებას საამისოდ არ ეცალა, მაგრამ რამდენიმე სიტყვა მაინც თქვეს. კომენტარი გააკეთეს დუმაშიც. დუმაში მიაჩნიათ, რომ აფხაზეთში არჩევნები გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდა.

# პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ფონიჭალაში მომხდარი მკვლელობა გახსნეს.

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს და ისანი-სამგორის პოლიციის თანამშრომლებმა ადრე ნასამართლევი, 1983 წელს დაბადებული გიორგი კუსრაძე დააკავეს.

ეჭვმიტანილმა მიმდინარე წლის 10 მარტს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე საკუთარი ძმის ცოლს, ნინო ბალახაძეს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა. იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ნინო ბალახაძე მიღებული ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცავებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ მკვლელობის იარაღიც ამოიღო. დაკავებული დანაშაულს აღიარებს. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ჯანრი კაშია გარდაიცვალა



საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, პარტია ,,საქართველოს გზის" ლიდერის, სალომე ზურაბიშვილის მეუღლე, პუბლიცისტი ჯანრი კაშია გარდაიცვალა.

როგორც ,,მედიანიუსს" პარტია ,,საქართველოს გზის" პრესსამსახურიდან აცნობეს, ჯანრი კაშია დღეს დილით გარდაიცვალა.

– შაბათს მას გულის ოპერაცია გაუკეთეს, რასაც გართულებები მოჰყვა, რის შედეგადაც გარდაიცვალა, – აღნიშნეს პრესსამსახურში.

მედიანიუსი

# პუტინს არ უნდა, რომ რუსეთის დაშლა მის სახელს დაუკავშირდეს

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ პოლიტიკურ მიმომხილველ ხათუნა ლაგაზიძესთან



***— პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების ინიციატივა დააყენა. როგორ აფასებთ ამ ინიციატივას?***

— ამ ინიციატივით სააკაშვილი ეცადა, ტრადიციულად, რამდენიმე მიმართულებით ჩაეგდო ანკესი: ერთი მხრივ, გათვლა გაკეთდა დასავლეთზე, განსაკუთრებით — ევროპაზე, რომელიც ბოლო წლებია აქტიურად მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაალაგოს ურთიერთობები რუსეთთან და არჩევნების წინ სააკაშვილს აუცილებლად სჭირდება, ახალი შტრიხები და ტონალობები შესძინოს საკუთარ პერსონას. მეორე მხრივ, ეს ინიციატივა მიმართული იყო საკუთარი ელექტორატისკენაც: საქართველოს საზოგადოების სულ უფრო ფართო ნაწილში იკიდებს ფეხს ანტიამერიკული განწყობები და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების სურვილი. ბუნებრივია, რომ სააკაშვილს სურს, ყურადღების მიღმა არ დარჩეს ელექტორატის ეს ნაწილიც. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს თავისთავად საინტერესო და ნაყოფიერი ინიციატივაა. თუმცა, იმ დაუნდობელ წინასაარჩევნო ბრძოლაში, რომელიც წინ გველის, პროვოკაციების მცდელობებიც არ გამოირიცხება და ეს ინიციატივა შეიძლება კარგად იყოს გამოყენებული ამ პროვოკაციების მსურველ-დამგეგმავთა მიერ.

მაგალითად, ძალიან ნიშანდობლივია რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსეთში მოქმედი ახალგაზრდული მოძრაობა, „რუსეთის ქართველთა კავშირი", რომლის უკანაც რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია დგას, ქართულ ოპოზიციასთან თანამშრომლობას, სოციალური ქსელებით მილიონამდე მომხრის მობილიზებასა და საქართველოში საპროტესტო პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობას გეგმავს. „ჩვენი მიზანია მილიონამდე ადამიანის შეკრება, თარიღის დანიშვნა, როდის და რომელ რიცხვში შევძლებთ ჩვენ ყველანი ჩვენს სამშობლოში, ქალაქ თბილისში შეკრებას. დიდ მარშ-მიტინგს მოვაწყობთ კამერების თანხლებით და ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა", — ასეთია ორგანიზაციის წარმომადგენლების გეგმა.

არ გამოვრიცხავ, რომ ეს რაღაც სათადარიგო, ძალიან სახიფათო გეგმის ნაწილია. რთული არ იქნება, ასეთი „მარშ-ბრასოკი" გააპიარო, როგორც გარე ძალების მიერ დაფინანსებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა თანმდევი შედეგებით, რაც თეორიულად ოპოზიციის ფართომასშტაბიანი შეზღუდვის ინდულგენციად იქნება გამოყენებული. რუსეთთან უვიზო რეჟიმის პირობებში მართლაც ბევრი ქართველი თუ არაქართველი რუსეთის მოქალაქის შემოდინება მოხდება საქართველოში, რამაც შეიძლება მავანთა ფანტაზიებს სერიოზული გასაქანი მისცეს. მშვენიერი პიარი იქნება დასავლეთისთვისაც: აი, ჩვენი უვიზო რეჟიმის შემოღებას რუსეთმა რით უპასუხა. თავად ამ მოკლე ინფორმაციის ყველა წინადადება პროვოკაციული შინაარსის შემცველია და მსგავსი ტიპის განცხადებები ყურს მიღმა არ უნდა დატოვოს საზოგადოებამ და სათანადო პრევენციული ზომები მიიღოს, რათა შემთხვევით მართლაც არ გაჩნდეს ასეთი საფრთხის შემცველი ფანტაზიების რეალობად ქცევის სურვილი.

***— ოპოზიციისა და ექსპერტების ნაწილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მიხეილ სააკაშვილს ამერიკაში ვიზიტის დროს პირდაპირ ურჩიეს, სამართლიან არჩევნებთან ერთად აღარ იფიქროს რაიმე ფორმით ხელისუფლებაში დარჩენაზე. სააკაშვილი დასავლეთისგან ამგვარ მხარდაჭერას ვერ მიიღებს, ამიტომ ცდილობს რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებას. თემურ ალასანიას დანიშვნა გრიგოლ ვაშაძის მრჩევლად, მოგვიანებით კულუარული საუბარი იგორ ივანოვთან, თქვენი აზრით, არის თუ არა კრემლთან ურთიერთობების დალაგების მცდელობა?***

— მოდით, ერთი წუთით დავუშვათ, რომ პუტინს შეცდომა არ მოსვლია, როცა თქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნებში გამარჯვება მიულოცა — დალაგებულა ურთიერთობები და ეგ არის! თუმცა, თუ სერიოზულად მივუდგებით ამ საკითხს, გააჩნია, რას ვიგულისხმებთ ურთიერთობის დალაგებაში. მე ვფიქრობ, შეიძლება იყოს მცდელობა იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება შეეცადოს, დაარწმუნოს რუსეთის ხელისუფლება, რომ მან ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს საქართველოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით და არ ისარგებლოს და ხელი არ შეუწყოს არჩევნების შედეგებით გამოწვეული შესაძლო უკმაყოფილების გაღვივებას. ამდენად, მოლაპარაკების თემა შეიძლება ეხებოდეს იმას, რომ სააკაშვილმა და პუტინმა ერთგვარი მორატორიუმი თუ კონსენსუსი დაამყარონ ერთმანეთის ხელისუფლებაში შენარჩუნების მიზნით, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პირობა დადონ, შენ ჩემს შიდა საქმეებში არ ჩაერიო და მე — შენსაშიო. არ დაგვავიწყდეს, რომ არა მხოლოდ სააკაშვილისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ პუტინმა თავი შეიკავოს საქართველოს შიდა პოლიტიკაში სხვადასხვა ფორმით ჩარევისგან, არამედ პუტინისთვისაც არანაკლებ მტკივნეულია სააკაშვილის, როგორც „დემოკრატიის კრეისერის" როლი რუსული ოპოზიციის, რბილად რომ ვთქვათ, წახალისების საქმეში. სააკაშვილი, შესაძლოა, პუტინს სწორედ ჩაურევლობის გარანტიებს აძლევდეს და მისგანაც იმავეს ითხოვდეს, მაგრამ, რამდენად სანდოა მათთვის ერთმანეთის სიტყვა?!

წესით, მოლაპარაკებები გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებს უნდა მოიცავდეს, ისეთებს, მაგალითად, როგორიცაა საქართველო-რუსეთის პოზიციების ურთიერთგაცვლა-გაზიარება ისეთ გლობალურ თემებთან მიმართებით, როგორიცაა სირია და ირანი. თუმცა, ვერ გეტყვით, ეს თემები მოექცა თუ არა საქართველოს ხელისუფლების ინტერესთა ფორმატში. მაგრამ, თუ საქართველოს ხელისუფლება მართლაც პუტინისგან გარკვეული გარანტიების მიღებას ცდილობს, გამორიცხული არ არის, ირანის კამპანიის შემთხვევაში, სომხეთში არსებული ბაზისკენ რუსეთისთვის გზის გახსნის შეთავაზებაც დადგეს დღის წესრიგში.

***— პუტინი „პრინციპულ" პოზიციას ინარჩუნებს სააკაშვილთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ არ გადაისინჯება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების საკითხი. თქვენი აზრით, რაიმე პოზიტიურ ცვლილებას უნდა ველოდოთ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში?***

— ნაკლებად, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პუტინის გაპრეზიდენტება აშშ-მ მაშინვე აღიარა ისე, რომ კითხვის ნიშნები არ დაუტოვებია არჩევნების შედეგის სამართლიანობასთან დაკავშირებით, ამერიკის ყოფილი და ახლანდელი გავლენიანი პოლიტიკოსების რიტორიკა პუტინს მუდმივად დაძაბულ რეჟიმში ამყოფებს, ანუ ამერიკამ კი მიიღო პუტინის გამარჯვება, როგორც ფაქტი, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ის მის დასუსტებას არ შეეცდება მიზანმიმართულად: მაკფოლის ელჩად დანიშვნაც, თავად რუსებისავე შეფასებით, სწორედ ამაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, ამერიკელები უმიზნებენ პუტინის პრეზიდენტობის მეოთხე ვადას, ანუ მომავალი 6 წელი დაეთმობა სწორედ პუტინის პოზიციების შერყევის მცდელობას. ძალზე ნიშანდობლივია, რომ ჟურნალისტის კითხვაზე — ამერიკელებიდან ვინმემ თუ მოგილოცათ პრეზიდენტად არჩევაო, პუტინმა უპასუხა: მხოლოდ მაკკეინმაო. მაკკეინის მილოცვის შინაარსი კი საყოველთაოდ ცნობილია: ის ლამის დაემუქრა პუტინს — შენი დღეები დათვლილიაო — დაახლოებით ასე ჟღერდა მისი „მილოცვის" შინაარსი. საინტერესოა კონდოლიზა რაისის შეფასებაც: „რუსების ახალი თაობა ითხოვს პატივისცემას ხელისუფლებისგან. ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ მათი მცდელობები წარმატებით დაგვირგვინდეს და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ამას ხელი შევუწყოთ".

ამ ფონზე, სანამ საქართველოში სააკაშვილია, რომელიც, ფაქტობრივად, მორალური მაგალითი და გონებრივი და ფინანსური გამტარია რუსული ოპოზიციისკენ ამერიკული რევოლუციური გამოცდილებისა და იდეებისა, მანამდე პუტინი მშვიდად ვერ იქნება. პუტინი უნდა ხვდებოდეს, რომ აშშ დილემის წინაშეა: ანუ სააკაშვილი ამერიკისთვის შეუცვლელია, როგორც ანტირუსული, ანტიპუტინური ფორპოსტი და, ამავე დროს, სააკაშვილის წასვლა ხელისუფლებიდან სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების გზით, იქცევა პუტინის წასვლის პრელუდიად. ამდენად, პუტინი დილემის წინაშეა თავადაც. თუმცა, თუ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებების ქცევებსა და მოტივებში მათივე ქვეყნების ინტერესებიც ფიგურირებს, მაშინ სრულიად ლოგიკური იქნებოდა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სირიისა და ირანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციის ფონზე, მათ შორის, პოზიციათა გარკვეული თანხვედრა თუ არა, ინფორმაციის გაცვლა მაინც მოხდეს.

***— როგორ შეაფასებთ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებს და ხედავთ თუ არა რაიმე ანალოგს საქართველოში ახლო წარსულში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებთან?***

რუსეთში დღეს მიმდინარე პროცესები ძალიან მაგონებს 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანების დასაწყისში საქართველოში არსებულ სიტუაციას, როცა აშშ-მ თან ხელი შეუწყო „მოქალაქეთა კავშირის" გამარჯვებას პარლამენტში და შევარდნაძის ხელახალ არჩევას პრეზიდენტის პოსტზე, თან პარალელურად დაიწყო ინტენსიური მუშაობა ოპოზიციის გასაძლიერებლად.

— რაც შეეხება 2008 წლის საქართველოსა და 2012 წლების რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების ანალოგიებს, მთავარი, რაც ზედაპირზე ჩანს, ის არის, რომ ერთმაც და მეორემაც დათმეს დედაქალაქები არჩევნებისთვის დემოკრატიულ-სამართლიანი იმიჯის შესაძენად და მასობრივი სოციალური უკმაყოფილების შესაკავებლად. თუმცა, ბევრ სხვა ანალოგიაზეც შეიძლება საუბარი.

***— რუსეთის ოფიციოზი აშკარა კონფრონტაციის გზას დაადგა დასავლეთთან. სირიის საკითხშიც მასთან რაიმე კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელი გახდა. საით მიაქანებს პუტინი რუსეთს?***

— სულ მცირე, პუტინს არ სურს, რომ რუსეთის, როგორც მსოფლიო დერჟავის დასასრული მის სახელს დაუკავშირდეს, ეს კი სრულიად რეალურია, თუკი იგი სირიის სახით ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვაში — უკანასკნელ ფორპოსტს, ხოლო ირანის სახით ძლიერ პარტნიორს დაკარგავს. ბუნებრივია რუსეთის სურვილი: საკუთარი პოზიციები შეინარჩუნოს რესურსებით ისეთ მდიდარ რეგიონში, როგორიც ახლო აღმოსავლეთია. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, რუსებს ყურს მიღმა არ რჩებათ ამერიკელების რიტორიკაც, მაგალითად, საკმარისია გავიხსენოთ იგივე კარგად ცნობილი ბზეჟინსკის ერთ-ერთი ბოლო გამონათქვამი რუსეთთან მიმართებით: „თუ ამერიკა საკმარის სიბრძნეს გამოიჩენს, მაშინ შემდგომი 20-30 წლის განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელოვან ცვლილებებს დაინახავს დედამიწის ამ ნაწილში. მათი შედარება გასული საუკუნის 90-იან წლებთან იქნება შესაძლებელი, როცა სრულიად მოულოდნელად შობის დამდეგს საბჭოთა კავშირი დაინგრა"... ასე რომ, არაფერი გასაკვირი რუსეთის კონფრონტაციულ ტონში არ არის, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად შედეგის მომტანი იქნება ეს რუსეთისთვის.

***— თქვენ რომ იყოთ უმაღლესი ხელისუფალი, რა გზით შეეცდებოდით პრეზიდენტ პუტინთან ურთიერთობის დალაგებას?***

— რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ არამარტო გავლენის სფეროდ მისი ხილვის სურვილით აიხსნება, არამედ — შიშითაც. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რუსეთი საქართველოში მისი დაშლის ერთ-ერთ ინსპირატორს ხედავს: პუტინის არჩევნების წინ ინტერნეტით გავრცელებული ვიდეო — ჩვენი „მოდელირებული ქრონიკის" რუსული ანალოგი — „რუსეთის პუტინის გარეშე", სადაც საუბარია იმაზე, რომ რუსეთი დაიშლება და მას გაიყოფს ჩინეთი, დასავლეთი და საქართველო, რომელიც იპყრობს კრასნოდარის მხარეს, სწორედ ამ ჰიპერბოლირებულ შიშებს ასახავს. ისევე, როგორც თავის დროზე ქართული „მოდელირებული ქრონიკა", ხელისუფლების, შეიძლება ავადმყოფურად გაზვიადებულ, მაგრამ რეალურ შიშებს ასახავდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რუსებს სურთ იხილონ იმის გარანტიები, რომ საქართველო მინიმუმ არ განიხილებოდეს მათ თვალში რუსეთის დაშლაზე ორიენტირებული ამერიკული ძალების ფორპოსტად. მეორე მხრივ, ახალი გეოპოლიტიკური რეალობები, იგივე თურქეთის ამბიციების ზრდა, როგორც მსხვილი რეგიონული სუპერსახელმწიფოსი, პერსპექტივაში, თავისთავად წარმოაჩენს რუსეთის, როგორც რეგიონული ბალანსის როლს და, გონივრული, სახელმწიფო ინტერესებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში, საქართველო საინტერესო პარტნიორად შეიძლება იქცეს რეგონის ყველა მსხვილი მოთამაშისთვის. ოღონდ ამისთვის უპირველესად საჭიროა, როგორმე თავად ჩვენ გავთავისუფლდეთ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში პატრონი-ყმის ეგზისტენციალური როლისგან და დავიწყოთ საკუთარი თავის, როგორც სრულფასოვანი პარტნიორის აღქმა.

## მომავალ კვირას პარლამენტს ეკა ტყეშელაშვილი ეწვევა

მომავალ კვირას პარლამენტს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში ეკა ტყეშელაშვილი ეწვევა.

ტყეშელაშვილი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომაზეა მიწვეული, რომელზეც იგი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით" თაობაზე და მის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად მიმდინარე მუშაობის შესახებ ისაუბრებს.

ეკა ტყეშელაშვილი პარლამენტში 14 მარტს მივა. კომისიის სხდომა 14.00 საათისთვის, პარლამენტის I რესპუბლიკის სახელობის დარბაზში დაინიშნა.

პირველი

# რა ვერ გაიყვეს ქართველებმა და აფხაზებმა

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ გურამ ოდიშარიასთან



***— ბატონო გურამ, აფხაზეთში პირველი დაპირისპირების გადალახვა შესაძლებელი გახდა. შემდეგ აფხაზებს შესთავაზეს მათთვის მისაღები საარჩევნო კანონი. თუმცა, ქართველ საზოგადოებაში მას ხელისუფლების დიდი კრიტიკა მოჰყვა, მაგრამ ამით იმდროინდელმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, კონფლიქტი არ აიცილა?***

— დიახ. იმ კანონით აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ადგილები 26-28-ზე გადანაწილდა. თუმცა, მანამდე ქართულ-აფხაზური შეტაკება იყო 1989 წლის ივნისში. ამის მიზეზი უნივერსიტეტი გახლდათ. ფაქტობრივად, უნივერსიტეტის გაყოფა უფრო ქართულმა მხარემ მოითხოვა. აფხაზებს უნივერსიტეტის გაყოფა არ უნდოდათ. ეს მოვითხოვეთ ჩვენ და შემდგ ცალკე გადმოვედით.

***— რატომ მოითხოვეთ? ურთიერთშეხლა-შემოხლა იყო და იფიქრეთ, ცალ-ცალკე სჯობდა?***

— ძირითადად, ამის ინიციატორები უნივერსიტეტის ლექტორები იყვნენ. თუმცა, იქ იყვნენ სხვადასხვა პარტიებიც, მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ითხოვდა, უნივერსიტეტი არავითარ შემთხვევაში არ გაყოფილიყო. ერთი უნივერსიტეტი იყოს, თორემ აფხაზ ხალხთან რომ დავიწყოთ გაყოფა, შემდეგ ჯაჭვური რეაქცია სხვა მიმართულებით წავა, ამას აუცილებლად ჩვენი მოწინააღმდეგე გამოიყენებსო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარდა, კიდევ იყვნენ სხვა პარტიებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ უნივერსიტეტის ერთიანობას, რომ დაპირისპირება არ გაგრძელებულიყო. ამ დროს სოხუმში ქართველებმა შიმშილობა გამოაცხადეს. მოშიმშილეები დასხდნენ უნივერსიტეტის გაყოფასთან დაკავშირებით.

***— არგუმენტი რა იყო?***

— არგუმენტი ასეთი იყო — ქართული ენა ცალკეა, აფხაზური — ცალკე, გავყოთ ეს უნივერსიტეტი და ორი უნივერსიტეტი იყოს, აფხაზური და ქართულიო. ამას მოჰყვა თეატრის გაყოფაც.

***— შეტაკება რატომ მოხდა, თუ ორი უნივერსიტეტი იქნებოდა, ყოფილიყო? თუ გაიყოფოდა და აფხაზებს ცალკე უნივერსიტეტი ექნებოდათ, აფხაზებისთვის ამას რა სჯობდა, ამაში ისინი რა საშიშროებას ხედავდნენ?***

— ამაში ისინი საშიშროებას ხედავდნენ — ფიქრობდნენ, რესპუბლიკა აფხაზეთი შუაში გაიყოფოდა და ამას აკეთებდნენ ქართველები...

***— რესპუბლიკის გაყოფაზეც იყო საუბარი? არ ვიცოდი, თუ ქართველები იყვნენ გაყოფის ინიციატორები.***

— ქართველები იყვნენ უნივერსიტეტის გაყოფის ინიციატორები იმიტომ, რომ ისინი გამოეყვნენ. თუმცა, ისინი არგუმენტებს ამბობდნენ, აფხაზებთან მუშაობა ძნელია, გაუსაძლისიაო. ამ დროს მე მწერალთა კავშირში ვიყავი და ჟურნალ „რიწა" ვრედაქტორობდი. იმ პერიოდში მწერალთა კავშირიც იყოფოდა, რადგან ქართველები ამბობდნენ, ჩვენ ქართულ ენაზე ვქმნით ლიტერატურას, თქვენ — აფხაზურ ენაზეო.

***— იმ მწერალთა კავშირში აფხაზებიც ყოფილიყვნენ და ქართველებიც, რა პრობლემა იყო?***

— ასეც ვიყავით...

***— აბა, რაში ვერ რიგდებოდით?***

— აბობოქრებული ეროვნული მოძრაობის პერიოდი იყო. მათ თავიანთი ლიდერები ჰყავდათ. ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ აფხაზეთში და აწყობდნენ დიდ მიტინგებს. ქართული პოლიტიკა, ფაქტობრივად, თბილისიდან იმართებოდა და ნებადართული იყო თბილისიდანაც. იქაც იყვნენ უნივერსიტეტის, მწერალთა კავშირის, თეატრის ხალხი.

***— მე აქამდე ვიცოდი, რომ აფხაზებს უნდოდათ გაყოფა, ინიციატორები იყვნენ აფხაზები. მათ უნდოდათ გაყოფა და გამოეყვნენ.***

— არა. აფხაზებს გაყოფა არ უნდოდათ. აფხაზებს უნდოდათ, ერთად ყოფილიყო და ის აფხაზური ყოფილიყო.

***— უნდოდათ დაწესებულებები ერთად ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ თავიანთი?***

— დიახ, უნდოდათ აფხაზური უნივერსიტეტი და აფხაზური პოლიტიკის ცენტრი ყოფილიყო. ქართველები ეწინააღმდეგებოდნენ იმიტომ, რომ ამ დროს აქტიურდება მათი რადიკალური მხარე.

***— ქართველებს უნდოდათ ეს უნივერსიტეტი ქართული ყოფილიყო, აფხაზებს უნდოდათ აფხაზური ყოფილიყო და ამაში ვერ შეთანხმდნენ?***

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# სოსო ცინცაძე ჩიკაგოს სამიტისგან კარგ ამბებს ელის

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან:

***— ბატონო სოსო, როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები იმ ფონზე, როდესაც პუტინმა ისევ ძალაუფლება იგდო ხელთ?***

— რა მისიას იკისრებს პუტინი, სავარაუდოდ, 12 წლის განმავლობაში, როდესაც ის პრეზიდენტი იქნება, რთული სათქმელია, მაგრამ, მან რომ აღადგინოს საბჭოთა კავშირი, ეს წარმოუდგენელია, რადგან ჩეკისტური გაგებით ის მაინც რეალისტია. მან მშვენივრად იცის, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენა იმ სახით, როგორთაც არსებობდა, ყველაზე მეტად არ აწყობს რუსეთს. რუსეთის პოზიციაა, მის მიმართ ლოიალური ვიყოთ, ნატო დავივიწყოთ, ევროპულ ოჯახს ზურგი ვაქციოთ. რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროს, გაზში უნდა გადავიხადოთ იმდენი, რამდენსაც გერმანია იხდის.

***— ევრაზიის კავშირი, რომელზეც პუტინი საუბრობს, ხომ არის საბჭოთა კავშირის ალტერნატივა გარკვეულწილად?***

— ევრაზიის კავშირზე მხოლოდ პუტინი არ საუბრობს. 90-იანი წლებიდან არის ამაზე საუბარი. ამ იდეაზე ერთმანეთს ლუკაშენკო და ნაზარბაევი დაეტაკნენ. ბოლოს გაირკვა, რომ მაინც ნაზარბაევმა დაასწრო ლუკაშენკოს. რა არის ევრაზიის კავშირი? ეს არის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და ეკონომიკური პოტენციალის აკუმულირება, მაგრამ, ისე არა, როგორც ევროკავშირშია, როდესაც ძლიერი ინახავს სუსტს. მაგალითად, საბერძნეთი ავიღოთ, რომლის ბედიც გადაწყდა, როდესაც ინვესტორებმა დოკუმენტს ხელი მოაწერეს.

***— რუსეთის მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორი ნატოს ჯარების განლაგებაა მის საზღვართან ახლოს?***

— დიახ, ეს არის. თუმცა, დაახლოებით 4 წლის წინ პუტინმა გააკეთა განცხადება, რომ ნატო მას არ ადარდებს. რუსეთისთვის ყველაზე საშიში მაინც ევროკავშირის გაფართოებაა. რუსეთის ეს განწყობა სწორია.

***— რატომ? ევროკავშირი რუსეთისთვის რა საფრთხის მატარებელია?***

— ნატო რუსეთს ომს არასდროს დაუწყებს, მაგრამ, თუ ევროკავშირში შევიდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დიდი ნაწილი, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიკური არეალი შემცირდება. ვინაიდან 21-ე საუკუნე არ იქნება ბირთვული ომების საუკუნე, არამედ ეს იქნება ეკონომიკური ჭიდილის, ეკონომიკური დაპირისპირებების საუკუნე. ამის ტენდენცია უკვე აშკარაა. რუსეთისთვის ევროკავშირის გაფართოება გაცილებით არასასურველია, ვიდრე ნატოს გაფართოება. ნატო რუსეთს არანაირ საფრთხეს არ უქმნის. მაგალითად, საქართველო ნატოში შევიდა — ამით რუსეთს რამე დაემუქრება? რუსეთს თუ რამე ემუქრება ნატოში შესვლით, ეს მხოლოდ მისი ეკონომიკური ინტერესებია. ნატოში შესვლა დასავლური ვექტორის არჩევას ნიშნავს, მაგრამ ჩვენთან გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც მესამე ცენტრის მითიური იდეის მითვისებას ცდილობენ, რომლებიც ანტინატოს იდეით გამოდიან, რაც მათ წარმოდგენასა და სტილისტიკაში ანტიამერიკა, ანტიევროპაა. ამ იდეის მატარებლების პრორუსულობა საშიშია.

***— როდემდე შეიძლება, ასეთი სტაგნაცია იყოს ორ მეზობელ ქვეყანას შორის?***

— მეტროპოლიისა და კოლონიის დამოკიდებულება რომ განვიხილოთ, წარსულში მსგავსი ფაქტები იყო. მაგალითად, ბრიტანეთსაც ჰქონია ასეთი კონფლიქტები, მაგრამ სხვა ცივილიზებული მექანიზმები ამუშავდა. გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს დადგა მომენტი, როდესაც განამ საკითხი დააყენა ერთი თანამეგობრობიდან ბრიტანეთის გარიცხვის შესახებ. ეს იგივეა, რომ დსთ-დან რუსეთის გარიცხვის საკითხი დააყენონ. რასაკვირველია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ნონსენსია და არანორმალურია. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. რუსეთი ელოდება თავის საათს. საქართველოც თავის საათს ელოდება.



სოსო ცინცაძე

***— რა არის ეს საათი?***

— რუსეთისთვის ეს საათი არის საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ ესეც სარისკო მოლოდინია. პუტინის რუსეთისგან ძალიან ძნელი წარმოსადგენია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება უკან წაიღოს. თუმცა, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს — პოლიტიკაში შეუძლებელი არაფერია.

***— თუმცა, დიპლომატიის ისტორიაში არ არის აღიარების უკან წაღების ფაქტი...***

— მართალია, აღიარება უკან არავის წაუღია, მაგრამ სხვა სცენარები არ არის გამორიცხული. თავის დროზე ნაციონალისტმა, მაგრამ ჭკვიანმა რუსმა პოლიტიკოსმა, რაგოზინმა, რომელიც დღეს ვიცე-პრემიერია, თქვა: უკან წავიღებთ აღიარებას, თუ აფხაზები და ოსები გვთხოვენო, რასაკვირველია, თუ ეს რუსეთის სურვილი იქნება.

***— საქართველო რას ელოდება?***

— საქართველო ელოდება იმას, რომ ამ პოლიტიკით პუტინს რუსეთი ჩიხში მიჰყავს. როდესაც ყველაფერი ერთ შემადგენელ ნაწილზეა დამოკიდებული, მაშინ ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ჯერჯერობით პუტინის წისქვილზე ასხამს წყალს მოცემულობა, რადგან ენერგომატარებლებზე, ნავთობზე ფასები ძვირდება. ევროპის დამოკიდებულება რუსეთის გაზისადმი დღითიდღე ძლიერდება. იძულებით, ძალით ჩამოგდების პოლიტიკა ვერ ამართლებს. ამის მაგალითებია ეგვიპტე, ლიბია, ავღანეთში მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იძაბება, რამდენიმე დღეს წინ 6 ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა. ერაყში არსებულ მდგომარეობას კი მსოფლიო საზოგადოება, როგორც უამინდობას, ისე აღიქვამს.

***— რას უნდა ველოდოთ, რევოლუციას, რომელსაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, არ ამართლებს?***

— იძულებითი ჩამოგდება არ ამართლებს. ამის მაგალითია ეგვიპტე, ტუნისი, სადაც ისლამისტები მოდიან ხელისუფლებაში, ასევე ლიბია, სადაც, პრაქტიკულად, ქვეყანა იშლება. ასევე ნატოს სარდლობის ბოლო განცხადება, რომ ნატო 2014 წელს არ დატოვებს ავღანეთს, რთულ პასიანსს ქმნის. მთელ ამ პასიანსში ქართული დიპლომატიის თავისტკივილი არის გამოსავლის ძიება თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე.

***— ქართულ დიპლომატიას რთული დღეები ჯერ კიდევ წინ აქვს?***

— რასაკვირველია, წინ აქვს. კორექტირებები უნდა ხდებოდეს. სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ პოლემიკას, დისკუსიებს, სიმპოზიუმებს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ამ ხედვასთან დაკავშირებით. არც ოპოზიციაში არ არის მსგავსი მიდგომა, მაგალითად, ივანიშვილს კოალიციაში ისეთი მაღალი რანგის პროფესიონალი ჰყავს, როგორიც თედო ჯაფარიძეა, რომელსაც, როგორც პროფესიონალს, დიდ პატივს ვცემ. თედოს დაახლოებით 40 წელია ვიცნობ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მძიმეწონიანი დიპლომატი ჰყავს ბატონ ივანიშვილს, ჩემთვის უცნობია ივანიშვილის საგარეო პოლიტიკის ორიენტირები, ეს უცნობია. ივანიშვილის პოზიციაა, რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა — პროდასავლური კურსი, მაგრამ ეს ლოზუნგია, ეს მე არ მაკმაყოფილებს. მე არ მაინტერესებს — რა? არამედ როგორ? მაინტერესებს, როგორ აპირებს ივანიშვილი, იგივე თედო ჯაფარიძე, ერთდროულად კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთანაც და ამერიკასთანაც.

***— რას ელოდებით ჩიკაგოს სამიტისგან?***

— მაისის ჩიკაგოს სამიტის შემდეგ საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი თუ არა, ზომიერი კორექტივები მოხდება.

## საქართველოს უმეტეს რაიონებში დღეს ითოვებს

დასავლეთ საქართველოში დღეს თოვა შენარჩუნდება.

სინოპტიკოსების ვარაუდით, ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ქარი იქროლებს.

მცირე თოვას პროგნოზირებენ ასევე, აღმოსავ-



ლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. გორსა და სურამში კი — ისევ ძლიერი ქარია მოსალოდნელი.

გურია-აჭარის მთიანეთში და გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროება შენარჩუნდება.

აჭარის მაღალმთიან სოფლებში დღეს თოვლის საფარის სიმაღლე 1 მეტრს აჭარბებს. თოვლია დასავლეთ საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე. ხულოში კი — დღეს ზვავიც ჩამოწვა.

ნიუსპრესი

## ხანძრის შედეგად 65 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

გუშინ თბილისში გამთენისას 65 წლის მამაკაცი ხანძრის შედეგად გარდაიცვალა.

როგორც „ნიუსპრესს" საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, ხანძარი თიანეთის გზატკეცილზე საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა. სახლში 65 წლის მამა-




კაცი იმყოფებოდა, რომლის გადარჩენაც მიღებული დამწვრობვის გამო ვერ მოხერხდა. ცეცხლის გაჩენის მიზეზებზე გამოძიება მიმდინარეობს. გარდა ამისა, საგანაგებო სიტუაციების სამსახურში კიდევ ერთი შეტყობინება შევიდა. შეტყობინების შედეგად თამარაშვილის 13ა-ში გასულ მაშველებს, მისამართზე არსებული კორპუსის ეზოში მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილი კორპუსის ერთ-ერთი სართულიდან გადმოვარდა.

ნიუსპრესი

# რა ვერ გაიყვეს ქართველებმა და აფხაზებმა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

— აფხაზებს უნდოდათ, უნივერსიტეტი აფხაზური ყოფილიყო, სადაც იქნებოდა მხოლოდ ქართული განყოფილება და მთავარი სახურავი, ასე ვთქვათ, ყოფილიყო აფხაზური, ვთქვათ, რექტორი აფხაზი ყოფილიყო და ა,შ,. ჩვენ ვამბობდით, რომ ასე არ შეიძლება, უმრავლესობა ჩვენ ვართო.

***— მორიგეობით ყოფილიყვნენ რექტორები, ერთ წელიწადს ქართველი ყოფილიყო, მეორე წელიწადს — აფხაზი.***

— მაშინ ფეხბურთის გუნდიც გაიყო. სოხუმის „დინამო" იყო. მაშინ თბილისში, სტადიონზე დიდი მიტინგი ჩატარდა და ფეხბურთის გუნდი თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან გამოყოფილად გამოაცხადეს. ჩვენი პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლობისკენ ეს იყო.

***— ეს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებამდე იყო.***

— დიახ, არჩევნებამდე იყო. მაშინ ზვიად გამსახურდიამ სიტყვა თქვა სტადიონზე.

***— ჰო. დამოუკიდებლობა პირველმა ფეხბურთის გუნდმა მოიპოვა...***

— დიახ. მე მომხრე ვიყავი დამოუკიდებლობა პირიქით, სპორტით დამთავრებულიყო. შემდეგ სოხუმში ფეხბურთის გუნდს სახელი გადაარქვეს. თბილისის „დინამოს", მაგივრად „ივერია" დაარქვეს. ამბობდნენ, დინამო საბჭოთაა, არის მოსკოვის „დინამო" და კიევის „დინამოო". ამავე დროს ეროვნულმა ლიდერებმა, რომლებიც იყვნენ აფხაზეთში, თქვეს, თბილისში ფეხბურთის გუნდს სახელი გადაერქვა და აქაც სოხუმის „დინამოს" სახელი უნდა გადავარქვათო. ამასთან დაკავშირებით სოხუმში დიდი შეკრება მოეწყო. მე, როგორც „რიწის" რედაქტორი, ამას ვესწრებოდი. ერთ-ერთ მაგალითს გეტყვი, სადაც მე უშუალოდ ვმონაწილეობდი. უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებში მე არ ვმონაწილეობდი, რადგან ის უშუალოდ უნივერსიტეტელების გასაკეთებელი იყო. ჩემთან მოვიდნენ ის აფხაზები და ქართველები, რომლებიც გრძნობდნენ, რომ იქ ძალიან ცუდი ამბები შეიძლებოდა მომხდარიყო. სოხუმის გუნდში თამაშობდნენ ქართველებიც და აფხაზებიც. ქართველებს უნდოდათ ფეხბურთის გუნდისთვის სახელი ცხუმი დაერქმიათ. ეს არის სოხუმის ისტორიოული სახელი, მაგრამ ქართულია. აფხაზები ამბობდნენ, თუ სახელს გადავარქმევთ და „დინამო" არ გვინდა, რამე ისეთი შევარჩიოთ, რომელიც ორივე მხარეს გვაწყობს, თორემ თუ თქვენთან არის ეროვნული მოძრაობა, ჩვენთანაც არის და ჩვენ ვერ გვაპატიებენ იმას, ვთქვათ, „ცხუმად" წოდებულ გუნდში აფხაზებმა რომ ვითამაშებთო. ამიტომ მოვიდნენ ჩემთან აფხაზებიც და ქართველებიც (ეს 1989 წელი იყო). მათ შორის იყო ცხონებული გურამ გაბისკირია (ბოლოს ქალაქ სოხუმის მერი გახლდათ. შარტავასთან ერთად რომ დაიღუპა. ბოლოს კადრები რომ არის, სადაც ის ამბობს, ნიკაგდა ვ ჟიზნიო. ის ფეხბურთელი გახლდათ), რომელიც მოვიდა ჩემთან და მითხრა, კლუბის სახელთან დაკავშირებით აქ სიტუაცია ძალიან იძაბება, ამიტომ ფეხბურთელებმა მოვილაპარაკეთ, სოხუმის „დინამოს" „რიწა" ერქვასო. რიწა ტბის სახელია, სადაც ძალიან ლამაზი და სუფთა წყალია. ეს სახელი აწყობდათ ფეხბურთელებს, მაგრამ პოლიტიკურ ლიდერებს არა.

***— რატომ არ აწყობდათ? „რიწა" კარგი სახელია, ცუდი არ იქნებოდა.***

— ობიექტური რომ ვიყო, ვიტყვი, რომ იქ არის აფხაზური რადიკალიზმი, თუმცა, იყო ქართული რადიკალიზმიც, რომელიც ამ ნიუანსებს არ ითვალისწინებდა.

***— ისე, ახლა რომ ვაკვირდები, მაშინ ძალიან რთული პერიოდი იყო. მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა და გაანალიზების დროსაც აღარ ტოვებდა.***

— დიახ, მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა, რადგან საბჭოთა კავშირი სწრაფად დაინგრა. კი ველოდით, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დანგრევა მაინც მოულოდნელი იყო. ე.ი. მოულოდნელად დაინგრა ის, რასაც ველოდით, რომ დაინგრეოდა, მაგრამ ადამიანები ამისთვის მზად ვერ აღმოჩნდნენ. ამ დროს ორივე მხარეს ლიდერებიც არ იყვნენ ისეთები, რომლებიც შემრიგებელი და მომრიგებელი იქნებოდა, რომ ეთქვათ მხარეებისთვის, გაჩერდით, გეყოფათ, მოდით, დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ. ორივე მხარეს ადრე ამას უხუცესები აკეთებდნენ. მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა, რომ თვითონ კომუნისტებიც დაბნეული იყვნენ. ყველა დაიბნა. ტარდებოდა უზარმაზარი მიტინგები, სადაც იყო სხვა პათოსი, რაც, ვთქვათ, აფხაზებს აშინებდათ. ჩვენ კი აფხაზების რადიკალიზმი გვაშინებდა. მე სიტყვით გამოვედი და მათ დავუჭირე მხარი — ვთქვი, რომ ჩემი ჟურნალს ჰქვია „რიწა" და ძალიან კარგი ჟურნალია, სადაც აფხაზების ნაწარმოებებსაც ვბეჭდავთ და ქართველებისასაც. მოდით ფეხბურთის გუნდს, ეს სახელი დავარქვათ-მეთქი, მაგრამ გამოვიდნენ ჩვენი რადიკალები, რომლებმაც უარი თქვეს.

***— ვინ იყვნენ?***

— გვარები არ გვინდა. ზოგიერთს ახლა შერცხვება, რადგან ინანიებს მაშინდელ საქციელს. ზოგი ცოცხალი აღარ არის. სპორტსმენებს უნდა შეერქმიათ სახელი თავისი გუნდისთვის. ამაში სხვები ერეოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ იმ სახელის დარქმევას, რაზეც აფხაზი და ქართველი ფეხბურთელები თანხმდებოდნენ. ჩვენ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. ისინიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ორივენი ერთად რუსეთის საქმეს ვაკეთებდით. ორივე მხარემ ცუდი როლი ვითამაშეთ, როცა შეიძლებოდა შევთანხმებულიყავით. მე და ჩემს მეგობრებს მძიმე საუბარი გვქონდა, მაგრამ ჩვენ საუბარს და ურთიერთობას არ ვწყვეტდით. მიგვაჩნდა, რომ თუ ჩვენს შორის დიალოგი გაჩერდებოდა, შემდეგ შეიძლება ჩვენს შორის ტყვია გავარდნილიყო, რაც მოხდა კიდეც. ისეთი ძალა ჰქონდა ორივე მხარის მოძრაობებს (ქართულსაც და აფხაზურსაც), რაღაც საოკეანო ტალღებს ჰგავდა და მოვლენების სისწრაფეში ზოგი ვერ გაერკვა.

***— მოვლენები უდიდესი სისწრაფით ვითარდებოდა, თანაც სპეცსამსახურების უდიდესი მანქანა მუშაობდა ჩვენ წინააღმდეგ.***

— ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის სპეცსამსახური, რომელსაც ჰქონდა მასობრივი იდეოლოგია, მთელ დედამიწაზე კომუნიზმს უნდა გაემარჯვა. სპეცსამსახურის წარმომადგენლები უმაღლეს დონეზე ჰყავდათ დამუშავებული. ამ პირობებში საბჭოთა კავშირი კარგად გრძნობდა თავს. ნიკარაგუაში რომელიღაც გენერალი რომ გამოდიოდა, რა ფერის ჰალსტუხი ეკეთა, მოსკოვმა იცოდა. შემდეგ უკვე, როცა საბჭოთა კავშირმა დაშლა დაიწყო, ეს უჩინარი ხალხი გამოიყენეს საბჭოთა კავშირის შიგნით რესპუბლიკების საწინააღმდეგოდ. მათ ყველა ნაბიჯი გამოთვლილი ჰქონდათ ეროვნული მოძრაობის ფსიქოტიპიდან გამომდინარე, რა შეცდომები შეიძლება დაეშვათ ერთ, ან მეორე მხარეს და როგორ გამოეყენებინათ ეს შეცდომები. მაშინ ისინი თამაშობდნენ დიდ ჭადრაკს, სადაც მრავალსვლიანი კომბინაციებია, რაც ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ. ჩვენ მათ დავუპირისპირეთ მარტივი სვლებით და მარტივი სვლებით წავაგეთ.

***— ისე, რაღაც პერიოდში სიტუაცია დალაგდა, როცა მათთვის მისაღები საარჩევნო კანონი რომ შესთავაზეს.***

— დიახ, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს.

***— თუ გრძნობდნენ კმაყოფილებას აფხაზები?***

— დიახ, ისინიც წავიდნენ დათმობაზე.

***— რაღაც დამანგრეველი მოვლენები რომ არ გავითარებული თბილისში, შეიძლებოდა აფხაზეთში ომი აგვცილებოდა?***

— მიმაჩნია, რომ თეორიულად ამის საშუალება იყო. იმ კანონით მოხდა დათმობა, როდესაც ამ კანონს ისინიც დათანხმდნენ და ჩვენც დავეთანხმდით. თუმცა, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ძალიან აკრიტიკებდა იმ კანონს. ამბობდა, რომ ის კანონი ჩვენთვის ზიანის მომტანი იქნება, რადგან აფხაზები იქნებიან უმრავლესობა პარლამენტში და გადაწყვეტენ, რაც მოუნდებათ და როგორც მოუნდებათო, მაგრამ პოლიტიკა არის დათმობების და კონსენსუსების ხელოვნება.

# ნანი ბრეგვაძე ალმა-ატაში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

12 მარტს ქართული ესტრადის დედოფალი ნანი ბრეგვაძე ალმა-ატაში სოლოკონცერტს გამართავს. მომღერალთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მისი ქალიშვილი ეკა მამალაძეც მიიღებს, რომელიც დედასთან ერთად ცნობილ სიმღერებს შეასრულებს. ეკა მამალაძე დედის კონცერტზე 5 სიმღერას იმღერებს, აჟღერდება დუეტები დედასთან და მთლიანობში დედა-შვილი ალმაატელი მსმენელისთვის 20 მუსიკალურ ნომერს წარმოადგენს.

ნანი ბრეგვაძისა და ეკა მამალაძის კონცერტს აკომპანიმენტს როიალთან ალექსანდრე სარიევი გაუწევს. ნანი ბრეგვაძე თავისი 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტებს, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც მართავს, ეკა მამალაძე კი წელს სცენაზე 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. მომღერალმა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში სპეციალურად ამ იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი ჩაატარა, რომელშიც ნანი ბრეგვაძე და მომღერლის ქალიშვილი ნატალია ქუთათელაძეც მონაწილეობდნენ.

ნანი ბრეგვაძე და ეკა მამალაძე ალბომებზეც აქტიურად მუშაობენ. ეკა მამალაძემ უკვე გამოუშვა რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძის სიმღერების ალბომი, „სიყვარულზე მიამბე“, რომელშიც კომპოზიტორის 13 სიმღერა შევიდა.

ნანი ბრეგვაძემ კი 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „ბრავო რექორდსში“ პირველი სოლო ალბომის ჩაწერა დაიწყო. „ლაივ რუმში“ უკვე იმუშავეს ნიკოლოზ რაჭველმა, ნოდარ ექვთიმიშვილმა (ბასი) და გია სალაღიშვილმა (დასარტყამი ინსტრუმენტები). მათ მთლიანი ალბომის ჩონჩხი ჩაწერეს. ეს ალბომი პირველია ნანი ბრეგვაძის შემოქმედებაში, რომელიც საქართველოში ჩაიწერება და გამოიცემა. პარადოქსია, მაგრამ ასეა. საბჭოთა კავშირის დროს ნანი ბრეგვაძე უამრავ სიმღერას წერდა როგორც თბილისში, ასევე მოსკოვში. მას შემდეგ გამოვიდა ნანი ბრეგვაძის რამდენიმე დისკი, ისიც — საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩაწერილი.



ნანი ბრეგვაძის საიუბილეო სოლოალბომში 12 სიმღერა შევა. როგორც პროექტის ავტორები ამბობენ, რთულია ნანი ბრეგვაძის შემოქმედებიდან 12 სიმღერის ამორჩევა, ამიტომ ნიკა რაჭველმა, პროექტის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, მომღერლის ბიოგრაფია აქცია ალბომის კონცეფციად და ყველა სიმღერა აქედან გამომდინარე შეარჩია. უკვე გადაწყვეტილია, რომ ალბომის გამოცემას კონცერტი დაემთხვევა.

პროექტი თბილისის მერიისა და კომპანია „პე ეს პე“-ს მხარდაჭერით ხორციელდება.

ნანი ბრეგვაძემ „ბრავო რექორდსში“ უკვე ჩაწერა რევაზ ლაღიძის სიმღერის ,,ბალადა ვაზზე“ ახალი ვერსია. ,,ნაზო ქალწულო, დალალდაწნულო“ შევა ნანი ბრეგვაძის ახალ ალბომში, რომელიც ქალბატონი ნანის საქართველოში გამოცემული პირველი სოლოალბომი იქნება. იოსებ ნონეშვილის ლექსზე ,,რთველი არის თუ შენი ქორწილი“ შექმნილი ეს სიმღერა ქალბატონმა ნანიმ პირველად 30 წლის წინ ჯანო კახიძის ორკესტრთან ერთად პირველი არხის სტუდიაში ჩაწერა. ამასთან დაკავშირებით ნანი ბრეგვაძე საინტერესო მომენტს იხსენებს:

— საგასტროლოდ მოსკოვში მივემგზავრებოდი, როცა შემატყობინეს, რომ ამ სიმღერის ჩასაწერად უნდა მივსულიყავი, არადა, გამგზავრებამდე სულ ცოტა დრო მრჩებოდა. იმ პერიოდში მომღერლისა თუ ორკესტრის პატარა შეცდომაზეც კი ჩაწერა თავიდან იწყებოდა. მოხდა ისე, რომ ეს სიმღერა პირველივე ცდაზე ჩაიწერა, — ამბობს მომღერალი.

ნანი ბრეგვაძე ასაკს არ უშინდება და საკმაოდ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს — მონაწილეობს დავით დოიაშვილის გახმაურებულ მიუზიკლში „ქეთო და კოტე“, სადაც ხანუმას როლს ასრულებს, ატარებს კონცერტებს როგორც საქართველოში, ასევე სხვადასხვა რესპუბლიკებში, ჩართულია ლეგენდარულ ანსამბლ „ორერას“ 50 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტებსა და ტურნეებში და პარალელურად პირველ სოლოალბომზე მუშაობს.

# პატრიარქი ახალგაზრდებს ლექციას წაუკითხავს

კა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 12 მარტს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ახალგაზრდებისთვის ლექციას წაიკითხავს.



როგორც საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ განმარტა, პატრიარქთან შეხვედრით სამებაში განახლდება შემეცნებითი საუბრები. ამ საუბრების პირველი სტუმარი კი საქართველოს პატრიარქი იქნება — ის შეხვდება ახალგაზრდებს და წარმართავს ლექციას.

— სამების ახალგაზრდულ ცენტრში ყოველ კვირას ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ჩვენ ვცდილობთ, საზოგადოებას საინტერესო ადამიანები შევახვედროთ. გასულ წელსაც ვატარებდით შეხვედრებს შემეცნებითი საუბრებით განხრით. ამჯერად ჩვენი პირველი სტუმარი მისი უწმინდესობაა, — აღნიშნავს ნათია გოგუაძე.

პატრიარქთან შეხვედრამდე საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებითი საღამო შედგა. მასში მონაწილეობა მიიღეს წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური სკოლისა და სენტ ეკზიუპერის სახელობის ფრანგული გიმნაზიის მოსწავლეებმა, მთარგმნელმა იზა ჯიხაძემ, პედაგოგმა სოფიო ჯერვალიძემ, ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტმა ინესა მერაბიშვილმა, მომღერალმა გიორგი მეფისაშვილმა, ექიმმა ვახტანგ გაჩეჩილაძემ. საღამოს თავად პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი უძღვებოდა. ღონისძიებაზე ხალხური სიმღერები შეასრულა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ინანამ“, რომლის ხელმძღვანელიც მარინა კოლხიდაშვილია. საღამოს საპატიო სტუმრის სტატუსით ცნობილი ქართველი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ.

# კინომსახიობთა თეატრმა მასტერკლასი ჩაატარა

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებისთვის საგანგებო მასტერკლასი გაიმართა. სპეციალურ საღამოს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის ალეკო მახარობლიშვილის მეუღლე, სასახლის აღზრდილი თამუნა ადამია უძღვებოდა, ინესა აბესაძის აღსაზრდელებს კი მასპინძლობა ამავე თეატრის მსახიობმა ნინო ჩხეიძემ გაუწია, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის აღზრდილია. საღამოზე სპეციალური სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული დეკანოზი არჩილ გვიმრაძე. სწორედ მისი ლექსი წაიკითხა ნინო ჩხეიძემ, ხოლო მამა არჩილმა ღონისძიების მონაწილეები დალოცა. მამამ ბავშვებისთვის თავისი შემოქმედებიდან ლექსებიც წაიკითხა.

მამა არჩილის ლექსზე რეჟისორმა ნიკა ხომასურიძემ გადაიღო სპეციალური კლიპი, რომლის პრეზენტაციაც კინომსახიობთა თეატრში გაიმართა. კლიპში ლექსს მურმან ჯინორია კითხულობს. კლიპში მამა არჩილის ვაჟიც მონაწილეობს. ნამუშევარს სიმბოლური დატვირთვა აქვს — პატარა ბიჭი ადის მამადავითის აღმართზე და ქვა მიაქვს, მოგვიანებით პატარა ბიჭს მსახიობი გიორგი მეგრელიშვილი, იგივე მეგრელა ცვლის, ხოლო საბოლოოდ მოზრდილი ქვით მამადავითის ტაძრამდე მსახიობი გუჯა ბურდული ადის. ღონისძიებას მსახიობი გუჯა ბურდულიც ესწრებოდა.

— ამ კლიპში წარმოდგენილია ადამიანის ბავშვობა, ახალგაზრდობა და სიბერე, რაც ყველა ადამიანის ცხოვრების კანონზომიერებაა. ქვას კი გადატანითი მნიშვნელობა აქვს — ყველა ადამიანი თავის ტვირთს ეზიდება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვატაროთ, — განმარტა კლიპის რეჟისორმა.

ღონისძიებას ეწოდებოდა „ქალი, როგორც გაზაფხულის, სიცოცხლის სიმბოლო“. საღამო სამეჯლისო ცეკვებით ირინა მიროტაძის მოცეკვავეებმა გახსნეს და ვალსი შეასრულეს. ღონისძიებაში მონაწილეებმა გააცოცხლეს ფარნავაზი, მარიამ ღვთისმშობელი, წმინდა ნინო, მედეა. გიორგი სააკაძის თემა რუსუდანით, გიორგი სააკაძითა და პაატათი იყო წარმოდგენილი. ღონისძიებაში წარმოდგენილი იყვნენ გურანდუხტი და ბაგარტ მესამე, დემეტრე თავდადებული, დედოფალი გვანცა, ქეთევან დედოფალი, წმინდა ბარბარე, დედოფალი ელენე, ქართლის დედა, დავით აღმაშენებელი და დედამისი, დედოფალი ელენე, ერეკლე მეორე და დედამისი თამარი, თამარ მეფე, რომელსაც პოეტმა ნინო ბარათაშვილმა ლექსი უძღვნა. ღონისძიების ორგანიზატორებს არც გმირი ქალები დავიწყებიათ — მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვნელი, თინა წავკისელი, სანათა, მათი წარმოჩენის შემდეგ კი მთიულური ცეკვა შესრულდა. ანა კუპრეიშვილმა საკუთარი სურვილით გააცოცხლა ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა, ეფემია ორბელიანი. ღონისძიებაში ასევე წარმოდგენილი იყო კოჯრის რეპრესირებული გმირი, მარო მაყაშვილი, პირველი ქართული კინოს ვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე. კომპოზიციის დასკვნითი ნაწილი კი ოლღა გურამიშვილსა და ილია ჭავჭავაძეს დაეთმოთ. ამ კომპოზიციის ავტორი პედაგოგი ქეთი ბაზაძე გახლდათ. მთელი ღონისძიება კინომსახიობთა თეატრში პატრიარქის საგალობლების თანხლებით მიმდინარეობდა.

**ინესა აბესაძე:**

— კინომსახიობთა თეატრში მასპინძლობა გაგვიწია ამ თეატრის წამყვანმა მსახიობმა, ჩვენი სასახლის აღზრდილმა ნინო ჩხეიძემ. გადაცემა კი ალეკო მახარობლიშვილს ცოლს, ასევე ჩვენი სასახლის აღზრდილს თამუნა ადამიას მიჰყავდა. შევეცადე, ყველა ბავშვს ის წმინდანი გაეცოცხლებინა, რომლის სახელსაც ატარებენ. ბარბარე არსენიძემ წმინდა ბარბარე გააცოცხლა. წმინდა ნინო — ნინო ხეცურიანმა, დედოფალი გვანცა — გვანცა ლობჟანიძემ, ქეთი სახვაძემ — ქეთევან დედოფალი, ერეკლე მეორის შვილიშვილი თეკლა თეკლა არსენიძემ წარმოგვიდგინა, რომელიც ერეკლეს სულ ომებში დაჰყავდა და ბიჭივით აცმევდა და ზრდიდა. ქართლის დედა იყო მარიამ მირიანაშვილი, ელენე მაისურაძემ დედოფალი ელენე გააცოცხლა. როცა დედოფალ ელენეს მისმა შვილმა დაავალა, ეპოვა ქრისტეს ჯვარი, მაშინ დედოფალი ელენე 80 წლის იყო. ჩვენ ვერსად მივაგენით ფარნავაზის დედას, შევეხმიანეთ ისტორიკოს მარიკა ლორთქიფანიძეს, რომელმაც განგვიმარტა, რომ ფარნავაზის დედა სპარსი ყოფილა და მისი სახელი ისტორიაში შემორჩენილი არ არის.



***— ეს თქვენი ტრადიციული ღონისძიებაა?***

— დიახ, მაგრამ ყოველ წელს ვცვლით პროგრამას. გასულ წელს სტუმრად ნინელი ჭანკვეტაძე გვყავდა. ჩვენი სასახლის ცნობილი ადამიანები მასტერკლასს უტარებენ ჩვენს ბავშვებს და შეხვედრებს უწყობენ თავის მშობლიურ თეატრში.

**ნინო ჩხეიძე:**

— ჩვენმა თეატრმა მოსწავლის სახლის აღსაზრდელებს უმასპინძლა და სპეციალური მასტერკლასიც ჩაუტარა. სასიხარულოა, რომ ის სასახლე, რომელმაც გამზარდა, არ მივიწყებს და სხვადასხვა ღონისძიებით ისევ ბავშვობაში მაბრუნებს.

**მამა არჩილი:**

— ეს საღამო ქალსა და გაზაფხულს მიეძღვნა. აქვე წარმოდგენილი იყო ჩემს ლექსზე გადაღებული კლიპი, რომლის ავტორიც ნიკა ხომასურიძეა. კლიპში ჩემი ვაჟიც მონაწილეობს. ვწერ ლექსებს და მიხარია, რომ მათი გაცნობის სურვილი ბავშვებმაც გამოთქვეს. მიმაჩნია, რომ მსგავსი ღონისძიებები მაქსიმალურად ხშირად უნდა ტარდებოდეს.


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- იყიდება მიკროავტობუსი „მერსედესი“, ტიტანიკი, სამგზავრო. ფასი 2700 დოლარი. ტელ.: 599-26-37-10.

### უფუნ[ფლტ,ტ,ბ

- გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში“. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტო-პანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.
- მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.
- იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 2 დოლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568-65-74-86.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.



# ქუთაისი შსს-ს არ დანებდა, არმია ისევ წაუგებელია

### შსს _ ქუთაისს 83:85

**(20: 20, 21: 22, 23: 24, 19: 19)**

შეხვედრის საწყისი ათწუთეული გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ფრედ დასრულდა. დაძაბული გამოდგა მეორე პერიოდიც, სადაც იმერლებმა მინიმალური უპირატესობა მოიპოვეს და ტაიმის ბოლო წინ 42:41 გავიდნენ.

საინტერესო იყო მესამე მეოთხედი, რომლის დასრულებამდე 4.05 წუთით დარე ძალოვნები 12 ქულის სხვაობით 58:46 დაწინაურდნენ, თუმცა დარჩენილ დროში „ქუთაისის" მძლავრი და შემტევი თამაშის წყალობით შსს-აკადემიამ მოიპოვებული უპირატესობა შენარჩუნება ვერ მოახერხა. სტუმრებმა პერიოდი სულაც მოიგეს – 66:64.

დრამატული გამოდგა დასკვნითი მეოთხედი, რომლის საწყისი წუთების „ქუთაისის" უპირატესობით წარიმართა. შსს აკადემიამ მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე შეძლო ანგარიშის გათანაბრება – 73:73. თანაფარდობა იყო მოედანზე წუთით ადრეც – 81:81. გუნდებმა ისევ გაცვალეს ქულები და 24 წამით ადრე ტაბლოზე 83:83 ციმციმებდა. ამ დროს შეტევა „ქუთაისის" იყო, რასაც ლევან ცეკვავას საჯარიმოში შესვლა და ზუსტი 2– ქულიანი მოჰყვა – 85:83 4 წამით ადრე.

მატჩის ბოლო წამს შსს– აკადემიის ცენტრი ალენ ტრეპალოვაცზე რევაზ დიდია დაჯარიმდა და შეხვედრის ძირითადი დროც ამით ამოიწურა. ტრეპალოვაცს 2 საჯარიმო სროლა მოუწია, რომელთაგანაც ვერცერთი ვერ გამოიყენა და გამარჯვება რიონისპირელებს დარჩათ.

შსს აკადემიის შემადგენლობაში ტრეისი სმიტი გამოირჩა, რომელიც 26 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა, ხოლო „ქუთაისს" 33 ქულით დავით ბარბაქაძემ ულიდერა.

**მატჩის შემდეგ:**

**დავით უსტიაშვილი, ქუთაისის მწვრთნელი:**

– ვიცოდით, რო საკმაოდ დაძაბული შეხვედრა იქნებოდა, რადგანაც მოწინაღმდეგე ძლიერი გუნდია და კარგ კალათბურთს თამაშობს. მე ამ გუნდის მწვრთნელი ვიყავი და მისი ერთ-ერთი დიდი გულშემატკივარი ვარ. კარგისსს აკდემიას გამოცდილი მწვრთნელი და ვფიქრობ, ეს გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება პლეიოფებში კიდევ უფრო უკეთესს კალათბურთს აჩვენებს. რაც შეეხება თამაშს, ამ მატჩში გამარჯვება ძალიან საჭირო იყო, რისთვისაც მთელი კვირა ვემზადებოთ. კმაყოფილი ვარ ბიჭების თავდადების. ყველა მოთამაშე გმირია. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენ ქულას ჩააგდებს, ზოგი მეტ ქულას დააგროვებს, ზოგიც ნაკლებს, მთავარია გუნდი იყოს გუნდი და ყველას თავისი საქმე აკეთოს. ყველამ იბრძოლა და არავის გამოვყოფ. მივულოცავ „ქუთაისის" ყველა გულშემატკივარს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას. ამ ცუდ ამინდში ბევრი გულშემატკივარი ჩამოვიდა ქუთაისიდან, რომლებიც მხარში ედგნენ ჩვენს გუნდს. წინ რთული თამაში გველოდება „სოხუმთან", რომელიც ძალიან კარგი გუნდია. არაფერს ვამბობ სამედიცინოსთან მატჩზე, ვინაიდან ამ ეტაპზე მხოლოდ ვფიქრობთ მხოლოდ მომდევნო თამაშზე. მთავარია სოხუმთან მოვიგოთ თამაში და საერთო ჯამში კარგად დავამთავროთ რეგულარული სეზონი. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ბიჭებისთვის თუ რამდენი ლეგიონერი ითამაშებს მათ წინააღმდეგ. ყოველთვის ვცდილობთ მოგებას და კარგი თამაში ჩვებებას. ანალოგიური მოტივაციით ვითამაშებთ „სოხუმის" წინააღმდეგ. დღეს შეცდომები იყო და სულ იქნება, თუმცა უნდა ვეცადოთ, რომ გაცილებით ნაკლები დავუშვათ. მთავარია გუნდმა ითამაშა თავდადებით და შედეგიც მივიღეთ. მოსაგებად



ვიყავით განწყობილნი და ბოლო წუთებშიც ჩვენ მიგვყავდა თამაში. დიდი მადლობა ჩვენს ბიჭებს იმ შრომისთვის და თავდადებისთვის, რასაც ისინი ეწევიან.

**გიორგოს კეცელიდისი, შსს კადემიის მწვრთნელი:**

– გულშემატკივრებისთვის სანახაობრიობის თვალსაზრისით ნამდვილად კარგი თამაში იყო. სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. დავით ბარბაქაძეს ანგარიშზე 33 ქულაა. „ოლიმპთან" მატჩის დროსაც მივიღეთ ამდენი ქულა. ცუდი სტატისტიკა გვაქვს საჯარიმო სროლებსა 3-ქულიანებში, თუმცა ეს ჩემი სტრატეგიით მიმაჩნია- რომ უფრო მნიშვნელოვანი ბევრი კომბინაციების გაკეთებაა ვიდრე სამქულიანების სროლის მაღალი მაჩვენებელი. ნუ დავაბრალებთ ამ თამაშის წაგებას ალენ ტრეპალოვაცის მიერ ვერ ჩაგდებულ საჯარიმოებს. ჩვენ მანამდე წავაგეთ ეს თამაში და ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერ მოთამაშეს მოსვლოდა.

**ჯასტინ ტაბსი:**

– ძალიან რთული თამაში იყო. ჩვენმა გუნდმა შესანიშნავად იბრძოლა. გვქონდა შესაძლებლობა მოგვეგო ეს თამაში, თუმცა ამ წაგებას ვერ დავაბრალებთ ბოლო ორ საჯარომო სროლას. ჩვენს ბევრი სხვა შეცდომა დავუშვით. მესამე პერიოდში გვქონდა რეალური შანსი გამარჯვების მოპოვებისა და ბოლომდე ვიბრძოლეთ კიდეც, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მივლოცაავ მოწინააღმდეგე გუნდს გამარჯვებას.

**გიგი ბარბაქაძე:**

– ძალიან დაძაული თამაში იყო და დიდი მადლობა ქუთაისიდან ჩამოსულ ყველა გულშემატკივარს. ეს ჩვენთვის დიდი სტიმული იყო. დღეს იმედები გავუმართლეთ ქუთაისელ ქომაგებს და ვეცდებით, ყოველთვის ასე წარმატებით ჩავატაროთ ყველა მატჩი.

### სტუ _ ოლიმპი 71:94

**(18: 24, 13: 16, 20: 20, 23: 31)**

შეხვედრის პირველი ტაიმი დებიუტანტთა სასარგებლოდ წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა, რომლებიც დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. საინტერესო გამოდგა მესამე მეოთხედი, სადაც ტექნიკოსები აქტიურად ათამაშდნენ და პერიოდის შუწელში სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანეს, ხოლო მეოთხედის დასრულებამდე 3:40 წუთით ადრე მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩნენ მეტოქეს. თუმცა, დასკვნით მეოთხედში კი „ოლიმპმა" მოახერხა თამაშზე მობილიზება, მეტოქის გატეხვა და მატჩი გამარჯვებით დაასრულა.

„ოლიმპის" გუნდს ულიდერა ივო ჰოგერმა, რომელმაც 19 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა, ხოლო სტუ-ს ყველაზე მეტი 25 ქულა გიორგი ხანიაშვილმა შესძინა.

### თსსუ _ არმია 65:101

**(12: 28, 24: 24, 15: 16, 14: 33)**

მატჩი თავიდანვე არმიელთა უპირატესობით დაიწყო და გასაკვირიც არ არის, რომ დიდი ანგარიშით იმარჯვეს.

თსსუ-ს შემადგენლობაში მიხეილ ჭოჭუა გამოირჩა, რომელმაც საკუთარ გუნდს 18 ქულა შესძინა, ხოლო „არმიას"31 ქულით ბენჟამენ ვუდსაიდმა ულიდერა. ორმაგი დუბლი მიითვალა იოაკიმ შელბომმა, რომლის ანგარიშზეც 12 ქულა და 10 მოხსნაა.

### სოხუმი _ თსუ 89:83

**(23: 16, 29: 18, 14: 33, 24: 15)**

შეხვედრა ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა. მატჩის პირველი ნახევარი ზღვისპირელთა სასარგებლოდ წარიმართა, რომლებიც დიდ შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით 51:39 გავიდნენ.

თუმცა, მოპოვებული უპირატესობა ერთიანად გაანიავა მესამე ათწუთეულში, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი მძლავრად ათამაშდა. როგორც ჩანს სტუდენტებმა თავად ვერ დაიჯერეს რომ მატჩის მოგება შეეძლოთ და სოხუმელებმა მაინც მოახერხეს მეტოქის გატეხვა.

„სოხუმს" 24 ქულით ლაშა ფარღალავამ ულიდერა, ხოლო ორმაგი დუბლი ლევან ფაცაციასა და ტატო ჩაჩიბაიას ანგარიშზეა. ფაცაციამ 12 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, ხოლო ჩაჩიბაიას ანგარიშზე 14 ქულა და 11 მოხსნაა. თსუ-ს მხრიდან ყველაზე მეტი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბოლტონი-ქპრ ............ 2:1
ასტონ ვილა-ფულემი ............ 1:0
ვულვზი-ბლექბერნი ............ 0:2
სანდერლენდი-ლივერპული ............ 1:0
ევერტონი-ტოტენჰემი ............ 1:0
ჩელსი-სტოკი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 21 | 3 | 3 | 69:19 | 66 |
| 2.მანჩესტერი | 27 | 20 | 4 | 3 | 66:27 | 64 |
| 3.ტოტენჰემი | 27 | 16 | 4 | 7 | 52:34 | 52 |
| 4.არსენალი | 27 | 15 | 4 | 8 | 55:38 | 49 |
| 5.ჩელსი | 28 | 14 | 7 | 7 | 48:32 | 49 |
| 6.ნიუკასლი | 27 | 12 | 8 | 7 | 39:39 | 44 |
| 7.ლივერპული | 26 | 10 | 8 | 8 | 30:26 | 38 |
| 8.სანდერლენ. | 28 | 10 | 7 | 11 | 36:31 | 37 |
| 9.ევერტონი | 27 | 10 | 7 | 10 | 28:28 | 37 |
| 10.ფულემი | 28 | 9 | 9 | 10 | 37:37 | 36 |
| 11.სტოკი | 28 | 10 | 6 | 12 | 27:39 | 36 |
| 12.ნორვიჩი | 27 | 9 | 8 | 10 | 38:44 | 35 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 10 | 5 | 12 | 34:35 | 35 |
| 14.ას.ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 21:35 | 33 |
| 15.სუონსი | 26 | 7 | 9 | 10 | 28:34 | 30 |
| 16.ბლექბერნი | 28 | 6 | 7 | 15 | 40:60 | 25 |
| 17.ბოლტონი | 28 | 7 | 2 | 19 | 31:57 | 23 |
| 18.ქპრ | 28 | 5 | 7 | 16 | 29:48 | 22 |
| 19.ვულვზი | 28 | 5 | 7 | 16 | 30:58 | 22 |
| 20.უიგანი | 27 | 4 | 8 | 15 | 23:52 | 20 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ქოვენთრი-ბირმინგემი ............ 1:1
ბარნსლი-კრ.პალასი ............ 1:1
ბრაიტონი-პორთსმუთი ............ 2:0
ვესტ ჰემი-დონკასტერი ............ 1:1
დერბი-უოტფორდი ............ 1:2
ნოტინგემი-მილუოლი ............ 3:1
რედინგი-ლესტერი ............ 3:1
საუთჰემპტონი-ბარნსლი ............ 2:0
ჰალი-იფსვიჩი ............ 2:2
ბრისტოლი-კარდიფი ............ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ლევანტე ............ 1:0
სოსიედადი-სარაგოსა ............ 3:0
ხიხონი-სევილია ............ 1:0
ბეტისი-რეალი ............ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 26 | 23 | 1 | 2 | 88:23 | 70 |
| 2.ბარსელონა | 25 | 17 | 6 | 2 | 73:18 | 57 |
| 3.ვალენსია | 25 | 12 | 7 | 6 | 38:29 | 43 |
| 4.მალაგა | 26 | 12 | 4 | 10 | 37:37 | 40 |
| 5.ლევანტე | 26 | 11 | 5 | 10 | 37:37 | 38 |
| 6.ბილბაო | 25 | 9 | 10 | 6 | 41:32 | 37 |
| 7.ოსასუნა | 25 | 8 | 11 | 6 | 29:39 | 35 |
| 8.რაიო | 25 | 10 | 4 | 11 | 36:38 | 34 |
| 9.ატლეტიკო | 25 | 8 | 9 | 8 | 34:31 | 33 |
| 10.სევილია | 26 | 8 | 9 | 9 | 27:29 | 33 |
| 11.სოსიედადი | 26 | 9 | 6 | 11 | 30:36 | 33 |
| 12.ესპანიოლი | 25 | 9 | 6 | 10 | 27:34 | 33 |
| 13.ბეტისი | 26 | 9 | 3 | 14 | 31:38 | 30 |
| 14.მალიორკა | 25 | 7 | 8 | 10 | 24:30 | 29 |
| 15.ხეტაფე | 25 | 7 | 8 | 10 | 24:34 | 29 |
| 16.გრანადა | 25 | 8 | 4 | 13 | 22:35 | 28 |
| 17.ვილიარეალი | 25 | 6 | 9 | 10 | 26:38 | 27 |
| 18.რასინგი | 25 | 4 | 12 | 9 | 20:34 | 24 |
| 19.ხიხონი | 26 | 6 | 6 | 14 | 24:48 | 24 |
| 20.სარაგოსა | 26 | 4 | 6 | 16 | 21:49 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-ხერესი ............ 5:3
ალკორკონი-ერკულესი ............ 1:0
ალმერია-უელვა ............ 2:2
გვადალახარა-დეპორტივო ............ 1:2
კორდობა-უესკა ............ 3:1
მურსია-ლას პალმასი ............ 1:2
საბადელი-ბარსელონა ბ ............ 0:0
ხიმნასტიკი-ვილიარეალი ბ ............ 0:1

**იტალია. სერია ა**

პალერმო-რომა ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 16 | 6 | 4 | 53:22 | 54 |
| 2.იუვენტუსი | 26 | 13 | 13 | 0 | 39:16 | 52 |
| 3.ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 41:30 | 48 |
| 4.ნაპოლი | 27 | 12 | 10 | 5 | 50:28 | 46 |
| 5.უდინეზე | 26 | 13 | 7 | 6 | 37:23 | 46 |
| 6.რომა | 27 | 13 | 5 | 10 | 42:32 | 45 |
| 7.ინტერი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:36 | 40 |
| 8.კატანია | 26 | 8 | 11 | 7 | 34:35 | 35 |
| 9.პალერმო | 27 | 10 | 4 | 13 | 39:44 | 34 |
| 10.კიევო | 27 | 9 | 7 | 11 | 22:33 | 34 |
| 11.ატალანტა | 26 | 9 | 11 | 6 | 30:28 | 32 |
| 12.ფიორენტინა | 26 | 8 | 8 | 10 | 27:27 | 32 |
| 13.ბოლონია | 26 | 8 | 8 | 10 | 26:30 | 32 |
| 14.ჯენოა | 26 | 9 | 5 | 12 | 35:48 | 32 |
| 15.კალიარი | 27 | 7 | 10 | 10 | 26:35 | 31 |
| 16.პარმა | 26 | 7 | 9 | 10 | 32:41 | 30 |
| 17.სიენა | 26 | 7 | 8 | 11 | 30:28 | 29 |
| 18.ლეჩე | 26 | 6 | 7 | 13 | 30:42 | 25 |
| 19.ნოვარა | 26 | 3 | 8 | 15 | 21:46 | 17 |
| 20.ჩეზენა | 26 | 4 | 5 | 17 | 16:40 | 17 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-იუვე სტაბია ............ 0:0
ვარეზე-ემპოლი ............ 0:1
ვიჩენცა-გროსეტო ............ 0:1
კროტონე-მოდენა ............ 2:2
ლივორნო-ალბინოლეფე ............ 4:1
ნოჩერინა-გუბიო ............ 2:1
სასუოლო-სამპდორია ............ 0:0
ჩიტადელა-პესკარა ............ 1:2
ბრეშა-პადოვა ............ 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰოფენჰაიმი ............ 7:1
გლადბახი-ფრაიბურგი ............ 0:0
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი ............ 3:2
კიოლნი-ჰერტა ............ 1:0
მაინცი-ნიურნბერგი ............ 2:1
აუგსბურგი-დორტმუნდი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 25 | 17 | 5 | 3 | 52:16 | 56 |
| 2.ბაიერნი | 25 | 15 | 3 | 6 | 58:17 | 51 |
| 3.გლადბახი | 25 | 14 | 6 | 5 | 37:15 | 48 |
| 4.შალკე | 24 | 14 | 2 | 8 | 51:32 | 47 |
| 5.ლევერკუზ. | 25 | 11 | 7 | 7 | 38:32 | 40 |
| 6.ვერდერი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:38 | 36 |
| 7.ჰანოვერი | 24 | 8 | 11 | 5 | 30:32 | 35 |
| 8.შტუტგარტი | 25 | 9 | 6 | 10 | 41:33 | 33 |
| 9.ნიურნბერგი | 25 | 9 | 4 | 12 | 24:34 | 31 |
| 10.ვოლფსბურგი | 25 | 9 | 4 | 12 | 31:46 | 31 |
| 11.მაინცი | 25 | 7 | 9 | 9 | 37:39 | 30 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 25 | 7 | 9 | 9 | 28:35 | 30 |
| 13.კიოლნი | 25 | 8 | 4 | 13 | 32:46 | 28 |
| 14.ჰამბურგი | 24 | 6 | 9 | 9 | 28:42 | 27 |
| 15.აუგსბურგი | 25 | 4 | 11 | 10 | 25:39 | 23 |
| 16.ჰერტა | 25 | 5 | 8 | 12 | 26:41 | 23 |
| 17.ფრაიბურგი | 25 | 5 | 7 | 13 | 30:52 | 22 |
| 18.კაიზერი | 25 | 3 | 11 | 11 | 16:32 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფრანკფურტი-მიუნხენ 1860 ............ 3:1
ფორტუნა-აუე ............ 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-ბორდო ............ 0:2
ვალანსიენი-სენტ ეტიენი ............ 1:2
ნიცა-ნანსი ............ 1:1
ტულუზა-ლორიენი ............ 1:1
ევიანი-სოშო ............ 2:3
ლიონი-ლილი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 16 | 7 | 3 | 48:26 | 55 |
| 2.მონპელიე | 26 | 16 | 6 | 4 | 49:26 | 54 |
| 3.ლილი | 27 | 12 | 11 | 4 | 46:31 | 47 |
| 4.სტ.ეტიენი | 27 | 13 | 7 | 7 | 35:29 | 46 |
| 5.ტულუზა | 27 | 12 | 8 | 7 | 29:24 | 44 |
| 6.ლიონი | 27 | 13 | 4 | 10 | 43:35 | 43 |
| 7.რენი | 26 | 12 | 7 | 7 | 36:30 | 43 |
| 8.მარსელი | 27 | 10 | 9 | 8 | 34:27 | 39 |
| 9.ბორდო | 27 | 9 | 9 | 8 | 33:30 | 39 |
| 10.ევიანი | 27 | 8 | 9 | 10 | 39:40 | 33 |
| 11.ვალანსიენი | 27 | 9 | 6 | 12 | 28:30 | 31 |
| 12.ბრესტი | 27 | 5 | 15 | 7 | 22:24 | 30 |
| 13.აიაჩო | 27 | 7 | 8 | 12 | 29:47 | 29 |
| 14.კაენი | 26 | 7 | 7 | 12 | 30:37 | 28 |
| 15.ლორიენი | 27 | 6 | 10 | 11 | 25:35 | 28 |
| 16.ნიცა | 27 | 6 | 9 | 12 | 26:31 | 27 |
| 17.ნანსი | 27 | 6 | 9 | 12 | 25:36 | 27 |
| 18.დიჟონი | 26 | 7 | 6 | 13 | 31:45 | 27 |
| 19.ოსერი | 26 | 4 | 11 | 11 | 32:40 | 23 |
| 20.სოშო | 27 | 5 | 9 | 13 | 26:43 | 24 |

**ჰოლანდია. ეიდედივიზიონი**

გრონინგენი-ვიტესი ............ 1:3
ერაკლესი-დენ ჰააგი ............ 0:2
ჰერენვენი-ექსელსიორი ............ 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ალკმაარი | 24 | 15 | 4 | 5 | 51:25 | 49 |
| 2.ტვენტე | 23 | 14 | 6 | 3 | 65:25 | 48 |
| 3.პსვ | 24 | 14 | 6 | 4 | 62:34 | 48 |
| 4.ჰერენვენი | 25 | 13 | 9 | 3 | 56:36 | 48 |
| 5.აიაქსი | 24 | 13 | 7 | 4 | 63:33 | 46 |
| 6.ფეიენოორდი | 24 | 13 | 5 | 6 | 48:31 | 44 |
| 7.ვიტესი | 25 | 11 | 5 | 9 | 32:29 | 38 |
| 8.როდა | 25 | 11 | 1 | 13 | 43:54 | 34 |
| 9.გრონინგენი | 25 | 9 | 5 | 11 | 36:46 | 32 |
| 10.ვალვაიკი | 24 | 9 | 4 | 11 | 27:35 | 31 |
| 11.ერაკლესი | 25 | 8 | 6 | 11 | 39:39 | 30 |
| 12.დენ ჰააგი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:48 | 28 |
| 13.ნაიმეგენი | 24 | 8 | 3 | 13 | 25:34 | 27 |
| 14.უტრეხტი | 24 | 6 | 8 | 10 | 35:40 | 26 |
| 15.ბრედა | 24 | 7 | 4 | 13 | 30:38 | 25 |
| 16.ვენლო | 25 | 7 | 4 | 14 | 31:56 | 25 |
| 17.გრააფსხაპი | 23 | 4 | 4 | 15 | 21:52 | 16 |
| 18.ექსელსიორი | 25 | 3 | 6 | 16 | 19:57 | 15 |

**ჰოლანდია. მე-2 ლიგა**

სიტარდი-სპარტა ............ 1:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

მარიტიმუ-ფეირენსე ............ 2:1
ბრაგა-ლეირია ............ 2:1
პორტუ-აკადემიკა ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 22 | 16 | 5 | 1 | 51:16 | 53 |
| 2.ბრაგა | 22 | 16 | 4 | 2 | 47:18 | 52 |
| 3.ბენფიკა | 21 | 15 | 4 | 2 | 49:19 | 49 |
| 4.მარიტიმუ | 22 | 12 | 5 | 5 | 32:24 | 41 |
| 5.სპორტინგი | 21 | 11 | 5 | 5 | 31:17 | 38 |
| 6.გიმარაეში | 21 | 9 | 2 | 9 | 26:23 | 32 |
| 7.ოლჰანენსე | 21 | 6 | 8 | 7 | 24:26 | 26 |
| 8.ნასიონალი | 21 | 7 | 4 | 10 | 24:35 | 25 |
| 9.აკადემიკა | 22 | 5 | 8 | 9 | 21:28 | 23 |
| 10.ჟილ ვისენტე | 21 | 5 | 8 | 8 | 20:32 | 23 |
| 11.რიუ ავე | 21 | 6 | 3 | 12 | 21:27 | 21 |
| 12.ფერეირა | 21 | 6 | 3 | 12 | 25:40 | 21 |
| 13.ბეირა მარი | 21 | 4 | 5 | 12 | 16:24 | 17 |
| 14.სეტუბალი | 21 | 5 | 5 | 11 | 19:37 | 20 |
| 15.ფეირენსე | 22 | 3 | 8 | 11 | 16:33 | 16 |
| 16.ლეირია | 22 | 4 | 3 | 15 | 20:43 | 15 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

**ბ ჯგუფი**

კრასნოდარი-ტერეკი ............ 1:3

**ბ ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9.კრასნოდარი | 34 | 12 | 9 | 13 | 43:48 | 45 |
| 10.ტერეკი | 34 | 10 | 8 | 16 | 33:49 | 38 |
| 11.როსტოვი | 33 | 9 | 9 | 15 | 35:48 | 36 |
| 12.ამკარი | 33 | 8 | 10 | 15 | 25:42 | 34 |
| 13.ვოლგა | 33 | 9 | 4 | 20 | 26:43 | 31 |
| 14.კრ.სოვეტოვი | 33 | 7 | 10 | 16 | 23:45 | 31 |
| 15.ნალჩიკი | 33 | 6 | 9 | 18 | 28:44 | 27 |
| 16.ტომი | 33 | 4 | 9 | 20 | 20:62 | 21 |

**შოტლანდია. თასი**

ჰართსი-სტ.მირენი ............ 2:2
ეირი-ჰიბერნიანი ............ 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-კილმანროკი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 30 | 24 | 3 | 3 | 62:17 | 75 |
| 2.რეინჯერსი | 29 | 20 | 4 | 5 | 56:16 | 54 |
| 3.მოზერველი | 29 | 15 | 6 | 8 | 40:33 | 51 |
| 4.დანდი | 29 | 10 | 10 | 9 | 47:39 | 40 |
| 5.სტ.ჯონსონი | 28 | 11 | 7 | 10 | 36:33 | 40 |
| 6.ჰართსი | 29 | 11 | 6 | 12 | 33:29 | 39 |
| 7.კილმანროკი | 30 | 8 | 12 | 10 | 35:44 | 34 |
| 8.აბერდინი | 29 | 7 | 12 | 10 | 29:32 | 33 |
| 9.სტ.მირენი | 29 | 6 | 13 | 10 | 26:37 | 31 |
| 10.ინვერნესი | 29 | 7 | 7 | 15 | 33:50 | 28 |
| 11.ჰიბერნიანი | 29 | 5 | 8 | 16 | 30:55 | 23 |
| 12.დანფერმლაინი | 30 | 4 | 7 | 19 | 30:69 | 19 |

*რეინჯერსს დაკლებული აქვს 10 ქულა*

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ბაზელი ............ 0:2
სიონი-თუნი ............ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-ნოიშტადი ............ 0:1
ზალცბურგი-რაპიდი ............ 3:1
მატერსბურგი-ინსბრუკი ............ 0:1
რიდი-კაფენბერგი ............ 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-დოჰა ............ 2:0
ოფი-პანიონიოსი ............ 0:1
პაოკი-ასტერასი ............ 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისთანბული-ქაისერი ............ 1:0
გალათასარაი-გენჩლერი ............ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სლოვაცკო-ბოჰემიანსი 1905 ............ 3:2
ლიბერეცი-ბოლესლავი ............ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ლეჩნა ............ 2:2
პოდბესკიდიე-ლეგია ............ 0:1
ზაგლებიე-რუხი ............ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ილიჩევეცი-შახტარი ............ 1:2
დნიპრო-ვორსკლა ............ 1:1
ვოლინი-ჩერნომორეცი ............ 0:2

**დანია. სას ლიგა**

ოდენსე-ნორდსიელანდი ............ 0:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სლიგო-დუბლინი ............ 2:1

**აშშ. მლს**

დ.ს.იუნაიტედი-კანზასი ............ 0:1
ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი ............ 1:3
სან ხოსე-ნიუ ინგლენდი ............ 1:0

**არგენტინა. კლაუსურა**

არხენტინოსი-სან მარტინი ............ 1:1
რასინგი-ოლ ბოიზი ............ 3:0
ბელგრანო-სან ლორენცო ............ 1:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-პორტლენდი ............ 99:110
დეტროიტი-ტორონტო ............ 105:86
მაიამი-ინდიანა ............ 93:91(ოტ)
მინესოტა-ნიუ ორლეანი ............ 89:95
ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი ............ 106:112
ოკლაჰომა-შარლოტი ............ 122:95
ჩიკაგო-იუტა ............ 111:97
ფინიქსი-მემფისი ............ 98:91
გოლდენ სტეიტი-დალასი ............ 111:87

### რაგბი

**ექვსი ერის თასი**

უელსი-იტალია ............ 24:3
ირლანდია-შოტლანდია ............ 32:24

### ჩოგბურთი

**ატპ. ინდიანა უელსი. პირი**

როდიკი-კუბოტი ............ 4;6;7:6;6:3
ბერდიხი-სტახოვსკი ............ 6;7;6:3;6:4
მონაკო-მაიუ ............ 6:4;5:7;6:3
ვავრინკა-ჯინეფრი ............ 4;6;6:4;6:4
მაიერი-ანდუჰარი ............ 2:6;4;6
ალმაგრო-კიურეი ............ 5;7;6;4;6:4
ჯოკოვიჩი-გოლუბევი ............ 6;3;6:2
ფიში-სეპი ............ 6;3;6:2
ტროიცკი-ჰარისონი ............ 6;7;3;6
ნიშიკორი-ჰირალდო ............ 5;7;2:6
მიურეი-გარსია ლოპესი ............ 4:6;2:6

**ვტა. ინდიანა უელსი. პირი**

ციბულკოვა-რიბარიკოვა ............ 6;1;6:0
სკიავონე-ცურენკო ............ 6;2;6:4
სტოსური-ფალკონი ............ 6:0;6:3
შაფრაჟოვა-პაშეკი ............ 6:3;6:1
კირილენკო-ბეგუ ............ 7;6;6:4
პენი-პერვაკი ............ 4;6;0:6
ვოზნიაცკი-მაკაროვა ............ 6;2;6:0
პეტროვა-დეივისი ............ 6:3;6:2
შარაპოვა-დულკო ............ 6;2;6:0
ბარტოლი-ლეპჩენკო ............ 2:6;6:2;7:5

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

აილენდერსი-ნიუ ჯერსი ............ 1:2
ოტავა-ბუფალო ............ 3:3(0:1ბ)
ტამპა ბეი-კაროლინა ............ 2:4
ტორონტო-ფილადელფია ............ 0:0(0:1ბ)
დალასი-ანაჰაიმი ............ 2:0
ნეშვილი-დეტროიტი ............ 3:2
სენტ ლუისი-კოლამბუსი ............ 4:1
ფინიქსი-სან ხოსე ............ 3:0
ვანკუვერი-მონრეალი ............ 1:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ამერიკელმა სამხედრომ მშვიდობიან ავღანელებს ცეცხლი გაუხსნა

ამერიკელმა ჯარისკაცმა სამი ავღანელი მოკლა. უცხოური მედიის ინფორმაციით, შემთხვევა დღეს, კანდაგარის პროვიანციაში მოხდა.

ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ჯარისკაცმა სამხედრო ბაზა დატოვა და ავღანეთის მშვიდობიან მოქალაქეებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც სამოქალაქო პირები დაიღუპნენ.



ამერიკელი სამხედროს ქმედების მიზეზი ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

პროვინცია კანდაგარის გუბერნატორის ინფორმაციით, დაღუპულია 16 ადამიანი.

თუმცა, საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას მხოლოდ 3 მსხვერპლის შესახებ.

ხოლო „აისაფის" ოფიციალური წარმომადგენელი ჯასტინ ბროკჰოფი, „ასოშეიტედ პრესის" თანახმად, აღნიშნავს მხოლოდ რამდენიმე დაჭრილის შესახებ.

მან დარწმუნებით განაცხადა, რომ არავინ არ დაღუპულა.

ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე კი ამ ინციდენტთან დაკავშირებით მოხსენიებულია მსხვერპლის შესახებ, თუმცა მხედველობაშია მხოლოდ დაჭრილები თუ დაღუპულებიც, გაუგებარია.

როგორც აღვნიშნეთ, ინციდენტი მოხდა ამერიკული სამხედრო ბაზის გარეთ. რა გახდა ამ ტრაგედიის მიზეზი უცნობია. გამოთქვამენ ეჭვს, რომ ჯარისკაცს ცეცხლი შეეძლო გაეხსნა ნერვული გადაძაბვის ნიადაგზე.

– მასიური მკვლელობა, რომელსაც ქალები და ბავშვებიც შეეწირნენ, შესაძლოა, ნერვული აშლილობის ნიადაგზე მომხდარიყო, - ამბობენ ავღანელი წყაროები.

ბაზაში დაბრუნებისთანავე სამხედრო მოსამსახურე პატიმრობაში იქნა აყვანილი. „აისაფის" პრეს-სამსხურმა დაზარალებულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა და პირობა დადო, რომ ჩატარდება გამოძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს როგორც ამერიკული, ასევე ავღანური მხარე.

აღსანიშნავია, რომ ინციდენტი მოხდა მალევე მას შემდეგ, რაც თვით ამერიკელი სამხედროები გახდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლების სამიზნეები.

ავღანელთა რისხვის მიზეზი გახდა ამერიკელ სამხედროთა მიერ მუსულმანური წმინდა წიგნების დაწვა. მიუხედავად აშშ-ს და „აისაფის" ოფიციალური მობოდიშებისა, პროტესტის აქციებმა მასშტაბური სახე მიიღო, რასაც ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე შეეწირა.

# მიტ რომნის მორიგი გამარჯვება



აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან, მიტ რომნი, ვაიომინგის შტატში, ასევე გუამეში და ჩრდილოეთ მარივნის კუნძულებზე გამართული პრაიმერიზის გამარჯვებული გახდა.

ბი-ბი-სი აღნიშნავს, რომ რომნიმ საკუთარი გამარჯვებით თავისი კონკურენტის, პენსილვანიის შტატის, ყოფილი სენატორის, რიკ სანტორუმის მიერ კანზასში მოპოვებული წარმატების ნიველირება მოახდინა.

რომნის წარმატებული კამპანიის მიუხედავად ჯერაც არ არის ნათელი გახდება თუ არა იგი ობამას მთავარი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებზე. მან საკუთარი პარტიის ყრილობაზე 2446-დან, მინიმუმ 1144 მხარდამჭერის ხმა უნდა მოაგროვოს.

ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით, რომნის 454 ხმა აქვს, რიკ სანტორუმს 217, ნიუტ გინგრიჩს 107, რონ პოლს კი 47.

მიტ რომნი, როგორც ორთოდოქსი მორმონი, ოჯახის სიწმინდის პრიორიტეტულობას აღიარებს - მას ხუთი შვილი ჰყავს. როგორც მორმონთა რელიგიური გაერთიანების წევრმა, რომნიმ მაღალ თანამდებობას პირველად 70-იან წლებში მიაღწია, როცა ბოსტონის ეპარქიის მამამთავრის მრჩეველი გახდა. მოგვიანებით მიენიჭა ეპარქიის უმაღლესი სასულიერო წოდება და მისი მრევლი ოთხი ათას ადამიანს აერთიანებდა. ახლა რომნის თავი მოაქვს როგორც ეკონომიკის მცოდნეს და ობამას გადაჰკრავს ხოლმე: მას ამერიკის ძირეული გარდაქმნა სურს, მე კი ეს არ მინდა, - მე ამერიკის მიერ შექმნილი პრინციპების აღდგენა მწადია: ეს არის სწორედ ის ამერიკა, რომელიც გვიყვარსო.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

## სპორტი

# მილტონ ჰეიგის პირველი ქართული ტიტული

**რუმინეთი _ საქართველო 13:19**

**რუმინეთი:** იულიან დუმიტრაში (დორინ მანოლე 45), მედელინ ლემნარუ, ჩობა გალი, კრისტიან დინიში (კონსტანტინ გეარა 74), ადრიან აპოსტოლი, ფლორინ ვლაიკუ, ვალენტინ კალაფეტეანუ (ფლორინ სურუგუ 60); მიჰაიტა ლაზარი, მარიუს ტინკუ, პაულიცა იონი (ანდრეი ურსაჩე 55), ვალენტინ ურსაჩე (ალინ კოსტა 60), კრისტიან პეტრე, მიჰაი მაკოვეი, ვიორელ ლუკასი, დანიელ კარპო (ანდრეი გორჩიოაია 60)

**1 ლელო:** კარპო
**1 გარდასახვა:** ვლაიკუ
**2 ჯარიმა:** კალაფეტეანუ
**გაძევება:** ლუკასი

**საქართველო:** გიორგი შკინინი, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე (თედო ზიბზიბაძე 60), ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი (ლაშა მალაღურაძე 78), ირაკლი აბუსერიძე (გიორგი ბეგაძე 74); ვასილ კაკოვინი (მიხეილ ნარიაშვილი 77), ირაკლი ნატრიაშვილი (რეზო ბელქანია 55), დავით ქუბრიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ნემსაძე (დიმიტრი ბასილაია 55), შალვა სუთიაშვილი, ვიტო კოლელიშვილი, მამუკა გორგოძე (გივი ბერიშვილი 60)

**1 ლელო:** კაჭარავა
**1 გარდასახვა:** კვირიკაშვილი
**4 ჯარიმა:** კვირიკაშვილი
**გაძევება:** კოლელიშვილი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, მასპინძელ რუმინეთს დაძაბულ ბრძოლაში 19:13 აჯობა და პირველ ტურში ესპანეთთან წაგების მიუხედავად, ერთა თასის მოგების შანსი შეინარჩუნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბორჯღალოსანთა ზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ქართველ შეგირდებთან ერთად პირველი თასი უკვე მოიპოვა – „ანთიმოზ ივერიელის თასი". მართალია, ეს თასი მხოლოდ საქართველოსა და რუმინეთის შეხვედრებს შორის თამაშდება, მაგრამ ახლა უკვე მეორე თასის მოგების შანსიც აქვს.

არადა, საქართველოს ნაკრებმა თამაში არეულად დაიწყო და მალევე ლელო მიიღო. ჯერ გამოცდილი ირაკლი აბუსერიძე შეცდა, შემდეგ – უჩვეულო პოზიციაზე მყოფი გიორგი შკინინი. რუმინელებმა ლელო ზუსტად გარდასახეს.

მალევე კვირიკაშვილმა ზუსტი ჯარიმით უპასუხა, მაგრამ რუმინელებმა ჯარიმითვე 7-ქულიანი უპირატესობა აღადგინეს. პირველი ტაიმის დასკვნით ხუთ წუთში საქართველოს ნაკრებმა კარგად შეუტია, კვირიკაშვილმა ჯარიმით სხვაობა ისევ 4 ქულამდე დაიყვანა.

მილტონ ჰეიგის ნაკრებში დანიშვნის შემდეგ საქართველო მეორე ტაიმში გაცილებით უკეთესად თამაშობს. ცხადია, ეს მწვრთნელის დამსახურებაა – როგორც ჩანს, ჰეიგი კარგად ხედავს ყველაფერს რაც მოედანზე ხდება და სწორი დასკვნები გამოაქვს.



მეორე ტაიმის პირველივე წუთებიდან ქართველებმა შეუტიეს, რადგან მეტობაში იმყოფებოდნენ, თუმცა ჯარიმა მიიღეს და მასპინძლები 7 ქულით დაწინაურდნენ. ამას ჩვენი ნაკრები არ გაუტეხია – 47-ე წუთზე ქართველთა კარგ იერიშს მეტოქემ უკვე ველარაფერი დაუპირისპირა, კვირიკაშვილის პასის შემდეგ დავით კაჭარავამ ხაზი გაჭრა და ეროვნულ გუნდში 50-ე თამაში ლელოთი აღნიშნა. კვირიკაშვილმა რეალიზაცია გამოიყენა და წონასწორობა აღადგინა, 59-ე წუთზე კი, მანვე ჯარიმით საქართველოს ნაკრები დააწინაურა.

ამ ეპიზოდში ლუკასმა გორგოძეს ფეხი დაუდო და სინზინით დაისაჯა, რომელიც მეორე აღმოჩნდა და მოედნიდან თამაშის ბოლომდე იქნა გაძევებული. ერთია ქართველთა ლიდერი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, ისევე, როგორც მერაბ შარიქაძე.

62-ე წუთზე უბურთო ვიტო კოლელიშვილს მარიუს ტინკუმ თავზე დაქაჩა და მიწაზე დასცა, რაზეც პასუხად სამი ძლიერი დარტყმა მიიღო ყბაში და თავში და მოცელილი დაეცა. მანამდე რეფერი ჯარიმის დანიშვნას ქართველთა სასარგებლოდ აპირებდა, მაგრამ მერე ჯარიმა მეტოქეს უბოძა და კოლელიშვილს წითელი ბარათი უჩვენა, ანუ, მატჩის ბოლომდე გააძევა და მოედანზე თანაფარდობა აღდგა.

მალე რუმინელებმა ჯარიმის შესრულების უფლება მიიღეს, მაგრამ მათი დარტყმა არაზუსტი იყო, კვირიკაშვილმა კი, თავისი მორიგი შანსი 72-ე წუთზე გამოიყენა.

ბოლო წუთებმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. რუმინელები უტევდნენ, ქართველები ჩათვლის ხაზზე თავს ძალთა მაქსიმალური მობილიზებით იცავდნენ. ძირითადი დრო უკვე 5 წუთის ამოწურული იყო, როდესაც რუმინელებს ბურთი წინ დაუვარდათ და ინგლისელმა რეფერიმაც ჩვენი გამარჯვება დააფიქსირა – 19:13.

შაბათსვე გაიმართა ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩებიც: პორტუგალიელებმა დაძაბულ ჯახში 23:17 ესპანელები დაამარცხეს, რაც საქართველოს ნაკრებს აძლევს ხელს. ერთა თასის კიდევ ერთ შეხვედრაში, რუსეთმა უკრაინა სოჭში 38:19 მოუგო.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 83:47 | 10 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 69:45 | 10 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 53:26 | 10 |
| 4.რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 71:78 | 9 |
| 5.პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | 69:97 | 6 |
| 6.უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | 25:79 | 0 |

### დარჩენილი მატჩები:

**17 მარტი:** საქართველო-რუსეთი; ესპანეთი-რუმინეთი;
**24 მარტი:** უკრაინა-პორტუგალია;
**19 მაისი:** რუსეთი-ესპანეთი;
**9 ივნისი:** უკრაინა-საქართველო

# ქუთაისი შსს-ს არ დანებდა, არმია ისევ წაუგებელია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

21 ქულა თორნიკე ნინიაშვილმა დააგროვა, ხოლო 10 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი ვასილ ბერუაშვილმა შეასრულა.

**რუსთავი _ დინამო 87:95**

**(30: 23, 24: 23, 15: 21, 18: 28)**

შეხვედრის საწყისი ათწუთეული ქვემოქართლელთა სასარგებლოდ წარიმართა, რომლებმაც უპირატესობა მეორე პერიოდში შეინარჩუნეს და ტაიმი მოულოდნელად 54:46 მოიგეს.

ულ სხვაგვარი გამოდგა მატჩის მეორე ნახევარი, სადაც დინამოლები აქტიურად ათამაშდნენ და მესამე მეოთხედის მიწურულს სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანეს – 67:69, ხოლო დასკვნით მეოთხედში ფავორიტის სტატუსი გაამართლეს და იოლად იმარჯვეს.

„დინამოს" შემადგენლობაში ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა მოთამაშემ მიითვალა, ქიენ კარტერმა 30 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა, ხოლო მილან ოულიჩის ანგარიშზე 20 ქულა და 11 მოხსნა.

„რუსთავს" 27 ქულა ლევან ხმელიძემ შესძინა, ხოლო 16 ქულითა და 17 მოხსნით ორმაგი დუბლი ჟულივეტ ტუჯანის ანგარიშზეა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 15 | 15 | 01368:953 | 30 |
| 2.ქუთაისი | 16 | 12 | 41362:1232 | 28 |
| 3.ოლიმპი | 15 | 12 | 31243:1103 | 27 |
| 4.სოხუმი | 16 | 10 | 61307:1217 | 26 |
| 5.შსს | 16 | 9 | 71438:1282 | 25 |
| 6.დინამო | 16 | 8 | 81325:1366 | 24 |
| 7.თსსუ | 16 | 6 | 101290:1379 | 22 |
| 8.თსუ | 15 | 5 | 101209:1339 | 20 |
| 9.სტუ | 15 | 5 | 101162:1280 | 20 |
| 10.ბათუმი | 15 | 2 | 131055:1327 | 17 |
| 11.რუსთავი | 15 | 1 | 141046:1327 | 16 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სკანვორდი



1. ტაბლეტი; 2. უბანი თბილისში; 3. კრემიანი ნამცხვარი; 4. კაბის კიდეზე მოყოლებული ბაფთა; 5. ... გრინი; 6. რუმინელი მწერალი (1852-1912 წწ.)? 7. კომბოსტოს სახეობა; 8. განის დედაქალაქი; 9. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 10. საფრენი აპარატი; 11. მიწაში ამოღრმავებული ადგილი; 12. მურმან ...; 13. სარბიელი; 14. შლამის თევზი; 15. შხამი, საწამლავი; 16. ... ჩიმარო; 17. უეცარი შიში; 18. 100 კვ.მეტრი; 19. მსხვილი ვაჭარი (ძველად); 20. ძვირფასი მინა; 21. გაზაფხულის თვე; 22. რომელიმე ორგანოს გადაგვარება; 23. უშხამო გველი; 24. დრამატურგის ნაწარმოები; 25. სარწყავი არხი; 26. მწვანილი მძაფრი სუნით; 27. საოპერო სიმღერა; 28. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 29. ჩვენებითი ნაწილაკი; 30. ქალაქი კახეთში; 31. ქალბატონი (ფრანგულად); 32. მაუგლის მეგობარი პითონი; 33. ცხვრის ჯოგი; 34. სტადიონი ბრაზილიაში.

**წინა ნომერში დაბეჭდილი კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოპი; 2. აგავა; 3. იჯარა; 4. „სქური"; 5. ომბოხი; 6. ზაკოპანე; 7. ტაიკონავტი; 9. ტრედუნიონი; 10. „ვაშლოვანი"; 13. შაგალი; 14. „ფერარი"; 15. ზუმბა.

**თარაზულად:** 1. კობალტი; 4. სქოლიოზი; 8. ჰაიტი; 11. მიქავა; 12. რიეკა; 13. შანიძე; 16. ცაცხვი; 17. პროკლამაცია; 18. მიამიტი; 19. ღალატი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქერჩი; 2. ასორტი; 4. ფუტზალი; 5. გრიზლი; 6. სატელიტი; 7. დიალექტი; 10. კრიჟი; 12. კანტატა; 13. პორტერი; 16. შირაქი; 17. კატრანი; 18. მესეფი; 19. მადერა; 21. ლარნი.

**თარაზულად:** 3. ბენეფისი; 8. კაკაჩი; 9. ტერარიუმი; 11. ალგოლი; 12. კორელი; 14. ტონაჟი; 15. პროცენტი; 20. ტყლაპი; 22. ლებარდე; 23. „იავა"; 24. გრიმალდი; 25. კერი; 26. ჯუნგლი; 27. ჰალვა.

# მედვედევი და პუტინი მთავრობის მომავალ შემადგენლობას განიხილავენ

რუსეთი პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა და მისმა „მემკვიდრემ“, ვლადიმერ პუტინმა, მთავრობის მომავალი შემადგენლობის განხილვა დაიწყეს.

რუსული მედიის ინფორმაციით, კონსულტაციები ამ ეტაპზე მხოლოდ მათ შორის მიმდინარეობს. ახალი მთავრობის შესახებ კი ცნობილი მხოლოდ პუტინის ინაუგურაციის შემდეგ გახდება ცნობილი.

სავარაუდოდ, მთავრობაში შემცირდება ვიცე-პრემიერების რაოდენობა. 8 ვიცე-პრემიერის ნაცვლად, 5 დარჩება, რომლებიც სხავდასხვა საკვანძო მიმართულებებს ჩაუდგებიან სათავეში.

კრემლში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, რუსული მედია წერს, რომ მინისტრები არ შეითავსებენ ვიცე-პრემიერის თანამდებობებს.

მთავრობის რეორგანიზაციის ერთი პროექტი ქვეყნის ყოფილმა ეკონომიკის მინისტრმა და ამაჟამად შემნახველი ბანკის ხელმძღვანელმა, გერმან გრეფმა წარმოადგინა. გრეფი მიიჩნევს, რომ საჭიროა ერთიანი საგადასახადო სამინისტროს შექმა და ყველა სხვა სტრუქტურას უნდა ჩამოერთვას გადასახადის აკრეფის უფლება.

რუსული ოპოზიცია კი კვლავ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებს. მორიგი ხალხმრავალი მიტინგი გუშინ ჩატარდა. როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, მასში მონაწილეობა 25 ათასმა ადამიანმა მიიღო.

პოლიციის ინფორმაციით მიტინგში 10 ათსი ადამიანი მონაწილეობდა.

აქციის დასრულებისას მისმა ორგანიზატორმა გაანაცხადეს, რომ ისინი პროტესტის შემდგომი გაგრძელების სტრატეგიას მოიფიქრებენ.

გამორიცხული არაა, რომ შემდგომი მიტინგი 7 მაისს ვლადიმერ პუტინის ინაუგურაციისთვის გაიმაართოს.

— ჩვენ უნდა მივაღწიოთ პოლიტიკური რეფორრმების გატარებას, - განაცხადა ოპოზიციის ერთ- ერთმა ლიდერმა ვლადიმერ რიჟკოვმა.

თავის, მხრივ, რუსი უფლებათადამცველები აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებას რუსეთის ფედერაციაში ჩაატარებული არჩევნების შესახებ შეურაცხმყოფელს უწოდებენ.



რუსი უფლლებათადამცველები აღნიშნავენ - ჰილარის კლინტონის აკეთებს განცხადებას იმის შესახებ , რომ აშშ მზადაა იმუშაოს „რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ - ვლადიმერ პუტინთან“ იმ დღეებში, როდესაც ჩნდება ახალ-ახალი ფაქტები ხმის მიცემის მასობრივ ფალსიფიცირებაზე“.

— ჩვენი შეხედულებით კლინტონის სიტყვები არ შეიძლება შეფასდეს სხვაგვარად თუ არა იმ ხალხის შეურაცხყოფა, რომლებიც რუსეთში სამართლიანი არჩევნებისთვის იბრძვიან, - ნათქვამია უფლებათადამცველების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი ლუდმილა ალექსეევა, „ორგანიზაცია „ადამიანის უფლლებებისთვის“ აღმასრულებელი დირექტორი ლევ პონომორიოვი, მემორიალის წარმომადგენლები სერგეი კოვალლევი და ოლეგ ორლოვი და სხვა უფლებთადამცვეელები.

ამასობაში, პუტინის კრემლიდან „ფეხებით გამოტანაზე“ საუბრობს რუსეთიდან დევნილი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი.

— ვლადიმერ პუტინის გაპრეზიდენტება სავსებით მოსალოდნელი იყო. ოპოზიციამ არჩევნები თაღლითთან და დამნაშავესთან წააგო, — აცხადებს ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი უკრაინული მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში და აღნიშნავს, რომ ვლადიმერ პუტინი დამნაშავე არის იმის გამო, რომ მესამე ვადით იყარა კენჭი. მას ამისი უფლება კონსტიტუციის მიხედვით არ ჰქონდა.

— ხოლო თაღლითი კი იმიტომაა, რომ მან არჩევნები თავის სასარგებლოდ გააყალბა. ეს რა თქმა უნდა ასე არ არის. ოპოზიცია არასწორად მოიქცა. არ შეიძლებოდა ლოზუნგ „სამართლიანი არჩევნებისათვის“ დაყენება, იმიტომ, რომ ეს არ იყო არჩევნები ეს კრემლის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია იყო, — აცხადებს ბორის ბერეზოვსკი.

იგი აღნიშნავს, რომ საზოგადოებამ უნდა უპასუხოს ხელისუფლების ძალადობას, რომელმაც „საზოგადოება გააუპატიურა“.

— ბანდიტურ რეჟიმს არ გააჩნია საშუალება ხელისუფლება დემოკრატიული გზით აიღოს ხელში. სწორედ ამაშია ოპოზიციის მთავარი შეცდომა. რუბიკონი გადალახულია. ის ოპერაცია, რომელიც მათ 4 მარტს მოაწყვეს ეს ძალადობაა საზოგადოებაზე და საზოგადოებასაც თავის მხრივ არჩევანი არ აქვს გარდა იმისა, რომ ამ ძალადობას უპასუხოს, — აღნიშნავს ბერეზოვსკი და დასძენს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, საზოგადოებას აქვს ამბოხების უფლება იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება კანონს არღვევს.

— ხელისუფლებამ დაარღვია კანონი ამიტომაც საზოგადოებას აქვს თავისი ინტერესებს დაცვის უფლება ძალოვანი მეთოდებით, — აცხადებს ოლიგარქი.

მისივე მონაცემებით, ვლადიმერ პუტინის რეალური რეიტინგი რუსეთში 31 % იანი მხარდაჭერაა - ყველაფერი სხვა დანარჩენი - ფალსიფიკაციაა.

ამას გარდა, ინტერვიუში ბორის ბერეზოვსკიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთში რევოლუციას ამზადებს.

— მე ყოველთვის ვუჭერდი მხარს დემოკრატიულ ინსტიტუტებს რუსეთში. ამისათვის მე ძალიან ბევრი ფული დავხარჯე. ვაგრძელებ ოპოზიციის მხარდაჭერას და ამაზე ღიად ვსაუბრობდი ჯერ კიდევ 2007 წელს და ვამბობდი, რომ მე რუსეთში რევოლუციას ვამზადებ. ეს დაიბეჭდა კიდევ რუსულ და დასავლურ პრესაში. ამის გამო, რუსეთის პროკურატურამ საქმეც აღძრა და რუსეთში ჩემი ექსტრადაციისათვის ორდერიც გამოაგზავნა, — აცხადებს ბერეზოვსკი.

მისივე აზრით, მშვიდობიანი რევოლუცია რუსეთში უკვე აღარ იქნება. ამავე დროს არ იქნება არავითარი სამოქალაქო ომი. იმიტომ რომ, სამოქალაქო ომი ეს ადამიანების უზარმაზარი მასების დაპირისპირებაა. რუსეთში კი არსებობს პუტინი მისი რამდენიმე მომხრე და ხალხი.

— რუსეთში არსებობს პუტინი და მისი 10-15 მომხრე - სეჩინი, პატრუშევი, უსტინოვი, ერთი ივანოვი სერგეი და მეორე ივანოვი ვიქტორი - სულ ესაა პუტინის მომხრეები. მათ გარდა, მოედანზე პუტინის დასაცავად არც ერთი ადამიანი არ გამოვა. აი მის წინააღმდეგ კი თავისი სიცოცხლის რისკის ქვეშ ასობით ათასი ადამიანი გამოვა, მილიონობით თუ არა, — აცხადებს ბერეზოვსკი და ინტერვიუს ბოლოს აღნიშნავს, რომ სავარაუდოდ, ვლადიმერ პუტინის ინაუგურაცია არ გაიმართება.

— ახლა ვამბობ, რომ დიდი ალბათობაა იმისა, რომ ვლადიმერ პუტინის ინაუგურაცია არ გაიმართოს, იმიტომ, რომ მას ფეხებით წინ კრემლიდან 9 მაისამდე გამოიტანენ, — აცხადებს ბორის ბერეზოვსკი.

# ეგვიპტის პრეზიდენტობა 199 ადამიანს სურს

ეგვიპტეში ქვეყნის პრეზიდენტობის სურვილი, საარჩევნო კამპანიის პირველ დღეს, 199 ადამიანმა გამოთქვა. მათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საკუთრი თავის პრეზიდენტის პოსტზე წამოსაყენებელი დოკუმენტების პაკეტი უკვე მიიღეს.

ქვეყნის ცესკოს ჯერ ოფიციალურად არცერთი კანდიდატი არ დაურეგისტრირებია.

23-24 მაისს გასამართი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საჭიროა პარლამენტის 30 დეპუტატის მხარადაჭერა, ასევე ამომრჩეველთა 30 000 ხელმოწერის შეგროვება, არანაკლებ ქვეყნის 15 პროვინციიდან. თითოეული პროვნციიდან კი მინიმუმ 1000 ხემოწერა უნდა იქნეს შეგროვებული.

კანდიდატებმა საარჩევნო კამპანიისთვის არ უნდა დახარჯონ 1,7 მილიონ დოლარზე მეტი, ხოლო მეორე ტურის შემთხვევაში 300 000 დოლარზე მეტი.

კანდიდატებს ეკრძალებათ შემოწირულობების მიღება იურიდიული პირებისგან, უცხო ქვეყნებისგან, უცხო ქვეყნის მოქლაქეებისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ან ისეთი პიროვნებისგან, რომელიც რაიმე ფორმით კავშირშია უცხო ქვეყნის კაპიტალთან.

შემოწირულობების უფლება ეძლევათ ეგვიპტის რიგით მოქალაქეებს, რომლებიც კერძო პირებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაშიც შემოწირულობის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 170 000 დოლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი, საარჩევნო კომისიაში, ქვეყნის ყოფილი პრემიერი, აჰმედ შაფიკი მივიდა, რომელიც მთავრობას გასული წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით ედგა სათავეში. სწორედ ამ დროს მოხდა ქვეყანაში რევოლუცია და პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის დამხობა.

ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოფილი თავმჯდომარეც. ინფორმაციას ამის შესახებ ეგვიპტური მედია ავრცელებს.



მუჰამედ ელ-ბარადეიმ სამომავლო გეგმებზე ქაიროში საკუთარ მომხრეებთან გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

— ჩემთვის დიდი პატივი იქნება ვემსახურო ჩემს ხალხს და შევიტანო წვლილი ხელისუფლების მართვის რეფორმაში. ასევე, დიდი სურვილი მაქვს ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოვახდინო, - განაცხადა ელ-ბარადეიმ.

აღსანიშნავია, რომ ელ-ბარადეის ეგვიპტის სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მრავალი წლის განმავლობაში იგი ქვეყნის საგარეო უწყებაში მოღვაწეობდა. 1997-2009 წლებში კი საერთაშორისო ატომური სააგენტოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

ამასთან, სწორედ მუჰამედ ელ-ბარადეი იყო ეგვიპტის რევოლუციის უშაულო მონაწილე.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული პოპულარობა ელ-ბარადეიმ მას შემდეგ მოიპოვა, რაც მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

თავის მხრივ, ეგვიპტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ფარუქ სულთანის გაცხადებით, თუ საპრეზიდენტო კანდიდატები ხმათა 50 პროცენტს ვერ დააგროვებენ, ხელმეორე არჩევნები 16-17 ივნისს დაინიშნება.

კომისიის გადაწყვეტილებით, არჩევნების საბოლოო შედეგები 21 ივნისს გამოცხადდება. ეგვიპტის სამხედრო მართველობა პირობას დებს, რომ როგორც კი ხალხის მიერ არჩეული ლიდერი დასახელდება, სამხედრო საბჭო გადადგება და ახლადარჩეულ პრეზიდენტი ხელისუფლებას გადაიბარებს.

ბატონი სულთანის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია 30 აპრილიდან დაიწყება. კომისიის გადაწყვეტილებით, არჩევნებში ხმის მიცემა ეგვიპტელ რეპატრიანტებსაც შეეძლებათ.

ეგვიპტის ოპოზიცია სამისივე თაოსნობით ჩამოყალიბდა „ცვლილებების ეროვნული მოძრაობა“, რომლის მთავარი მიზანიც ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურაში რეფორმების ჩატარება იყო.

ხედრო საბჭოს არასწორ მმართველობაში ადანაშაულებს და გენერლებს მუბარაქის-ტიპის რეპრესიებში სდებს ბრალს.

ეგვიპტის მმართველმა შეიარაღებული ძალების უმაღლესმა საბჭომ კი კანონი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა. კანონი ხელმოწერილია სამხედრო საბჭოს მეთაურის, მარშალ ჰუსეინ ტანტავის მიერ სახალხო კრებასთან (პარლამენტთან) განხილვის გარეშე.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის პარლამენტმა მუშაობა 23 იანვარს დაიწყო.

კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის წამოყენება შეუძლია მხოლოდ ეგვიპტელს, რომელსაც არ აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეობა და რომლის მშობლებიც ასევე ეგვიპტის მოქალაქეები არიან. პარლამენტში წარმოდგენილ ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია წამოაყენოს საკუთარი პრეზიდენტობის კანდიდატი. თუკი კანდიდატი არ არის პარტიის მიერ წამოყენებული, მან 30 ათასი ხელმოწერა უნდა შეაგროვოს და მინიმუმ 30 დეპუტატისგან მიიღოს მხარდაჭერა.

კანონი ასევე კრძალავს ისეთი კანდიდატის წამოყენებას, რომელსაც არ აქვს ნამსახურევი შეიარაღებულ ძალებში.

პოსტისთვის ბრძოლას არაბეთის ლიგის ქვეყნების ყოფილი გენერალური მდივანი, ეგვიპტის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ამრ მუსა, ასევე როგორც აღვნიშნეთ, ყოფილი პრემიერ მინისტრი და სამოქალაქო ავიაციის მინისტრი, აჰმედ შაფიკი აპირებენ.

საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას გეგმავენ ასოციაცია „ძმები მუსულმანების“ წარსულში ცნობილი აქტივისტი, აბდელმონე აბდელფატუხი, და ეგვიპტელი სალაფიტების ლიდერი, ხაზემ სალახ აბუ ისმაილი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ



მეუღლე ბუხუტი აბაშიძე, შვილები თეონა, მარიკა აბაშიძეები, სიძე ზაალ ლურსმანაშვილი, შვილიშვილები ლუკა, ლიზი, ელენე ლურსმანაშვილები, ძმა ნიკოლოზ ლომიძე, რძალი მაია კვიჟინაძე, ძმისშვილი ნათია ლომიძე, მულები ციცინო, ლალი აბაშიძეები, დეიდა ნანული სტურუა, ბიძა გურამ ხიზანიშვილი, მძახლები როზა, რამაზ ლურსმანაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და მეგობრები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გულნარა (ლალი) ლომიძე**

პანაშვიდი 12 მარტს, 17 საათზე;
დაკრძალვა 13 მარტს, 14 საათზე.
მის: გურამიშვილის გამზირი, №3

იულონ სამადალაშვილი და მამია სულაბერიძე სამძიმარს უცხადებენ ავთანდილ და ტარიელ იაშვილებს დედის

**ირა ალექსანდრეს ასულ იაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ ვბბქჩ,ფ .ჯდჩქლქჩ7
რდბჯბს უფჯლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლჩ8

## TV პროგრამა

ოთშაბათი
12 მარტი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ქართ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** 15.00 ჩვენი ფერმა 15.30 დოკ. ფილმი 17.00 დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 სერ. **"ზღვარს მიღმა"** 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფილმი **"ბრძოლა გადარჩენისთვის"** (18) 03.45 მხ. ფილმი **"ამერიკელი ჟიგოლო"** (15) (რ. გირი) 05.50 დოკ. ფილმი

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი **"ქალები და კაცები"** 10.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.00 მხ. ფ. **"პატარა ელფი"** 14.30, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. **"ხუთი და"** 20.00 მხ. ფილმი **"ეშმაკის როსკიპი"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ. **"აქ მოხუცების ადგილი არ არის"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"დედის გული"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. **"ტერეზა"** 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.50 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 ნიჭიერი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ეჰ მეგობრებო"** მე-3ს. 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ქართ. მხ. ფილმი **"ბამბაზიის სამოთხე"** 23.40 სიმართლის დრო 01.10 მხ. ფილმი **"ბრაზის გამართლება"** (12) (კ. კოსტნერი) 03.30 მხ. ფილმი **"ნიმფა"** (15) (ს. სანდრელი) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. **"მარია ემილია"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. **"ველური მთვარე"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 21.00 სერ. **"ჯაშუში ქალი"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"სიამაყე"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 12.50, 19.35 სერ. **"გაზაფხული"** 13.50 1000 წვრილმანი 15.15 სერ. **"სიამაყე"** 16.30 დროის ვექტორი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"იყო შაშვი მგალობელი"** 14.30 კონცერტი – ანს. "შავნაბადა" 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი **"შთამომავლობა"** 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 ემხატვარი ლ. მარგიანი 22.40 ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ხელოვნების ქურუმი" გოგი გეგეჭკორი 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 marti

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო —2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1–5, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–4, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2

## ამინდის პროგნოზი 12 მარტისთვის






# 12 მარტიდან ახალ თაობასთან ერთად!

# 7 მარტიდან!

„ახალ თაობასთან" ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი"

21-ე ტომი

ექსკლუზივი

# გამოიწერეთ

3!)) ობუყიბ4 იცცბც
ბ3 ფცფვბფყსფ ,ბჯუჰფაბც,ბ7
ჰჯ3ცკსფნ ცბცბ hცფკბ
ცფნჯცცს 3ცჯაკბჯ
გჯკბნბhფიბ7 3ცნყბცჰც,ფცფ
ცფ hეკნეჰფიბ8

უფასოდ ლამ ოზუყბ ტპსფლ * კფპბ




·დცკფვ უფბსცფკბცობყცს=

fcnhjghjuyjpb
!@ ვფჰნბცსცბც

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, გახარებული ხართ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — არ აყვეთ პროვოკაციას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მერწყული** — იმიჯის შეცვლა კარგია, წარმატება გარანტირებული გაქთ. **თევზები** — თქვენი საქმე კარგად მიდის, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით.

უბცეჰცკ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

## hჰჯცცჯჰცბ ფ

**თარაზულად:** 4. რამდენიმე მექანიზმის შემცველი რთული მანქანა; 6. ოთხი მუსიკალური შემსრულებელი; 8. ფილტვების დაავადება; 10. სამხედრო წოდებულება; 11. ცვარ-...; 12. მუსლიმანობა; 14. ქალაქი საფრანგეთში; 17. მარადმწვანე ხე შხამიანი ნაყოფით; 19. ნავსადგური; 20. მესერი; 21. ქიმიური ელემენტი; 22. ქუჩა ნიუ იორკში; 23. მდინარის მტაცებელი თევზი.

**შვეულად:** 1. ერთგვარი სოკოთი შედედებული მაწონი; 2. კუჭის გარსის ანთება; 3. ქიმიური ელემენტი; 5. ორგანული ნაერთი ქვანახშირის ფისში; 7. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 9. ულტობი ქსოვილი იატაკის დასაფარავად; 13. იატაკის საცხი; 15. ფარული დაცინვა; 16. ძლიერი შხამი; 18. წვრილი ხმა სიმღერაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ